გაზეთი ბეჭდავს, „ეროვნული ენა"

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№32 (927) 2 - 3 აპრილი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სკანდალური სია

ვინ აჩუქა მინის ნაკვეთები

შინდისში, ტაბახმელაში, ჯოჯორში, წავჯისსა და ჯიჯეთში სახელმწიფოს!

გვ. 5

რა უნდა იცოდეს მომხმარებელმა ინტერნეტკრედიტის აღების დროს?

გვ. 6

რა საფრთხეს წარმოადგენს სწრაფად, მარტივად და სახლიდან გაუსვლელად აღებული სესხები?

ბოცო ხარ თუ სუპერმენი ანუ ღია წერილი ნუგზარს!

გვ. 4

ლევან ალაფიშვილი:

„პროკურატურა თავისივე მცდარი გადაწყვეტილების მდევარი გახდა და ხაფანგი საკუთარი ხელით დაიგო!"



გვ. 8

ლევან ბერძენიშვილი

გვ. 3

„კოალიციის წევრები სიებს ისე ვადგენთ, რომ გაერთიანების დაშლას არ გამოიწვევს!"

სინდალელები ისევ დაკარგულ სამართალს ეძებენ



გვ. 9

ვეტერანთა ჰოსპიტლისთვის ალტერნატიული ფართის გამოყოფას ითხოვენ

გვ. 9

დავით კუპრეიშვილი, იურისტი

სტრატეგია „ანაკონდა" მოქმედებაშია, ანუ რუსეთის იმპერიის დასასრული

გვ. 7

დავით კუპრეიშვილი, იურისტი

მაიკ როჯერსი: „ვლადიმერ პუტინი საქართველოსა და სომხეთში შეჭრას განიხილავს“

ვლადიმერ პუტინი საქართველოსა და სომხეთში შეჭრას განიხილავს, რათა რუსეთ-ირანს შორის გასასვლელი შექმნას. ამის შესახებ აშშ-ს წარმომადგენლობითი პალატის დაზვერვის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მაიკ როჯერსმა Fox News-სთან საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, აღმოსავლეთ უკრაინის საზღვართან განთავსებული ათობით ათასი რუსი სამხედროს გარდა, რუსეთი შეიარაღებული ძალების მობილიზებას ახდენს საქართველოს სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთის რეგიონში.

„მათ გადააქვთ თავიანთი ტექნიკის ყველაზე საუკეთესო ნაწილი „სამხრეთ ოსეთში“. ამისთვის არანაირი მიზეზი არ არსებობს. რეალურად, საქართველოს არმია არ წარმოადგენს რაიმე საფრთხეს, ეს ნამდვილად შემაშფოთებელია“, — განაცხადა მაიკ როჯერსმა.

ამასთან, სტატიაში აღნიშნულია, რომ რუსეთისგან გასაკვირი არ იქნება ირანთან მჭიდრო ურთიერთობების ძიება და არც პუტინისგან ორ ქვეყანას შორის სავაჭრო მარშრუტის ძიება.

„ორივე ქვეყანა, მართალია, სხვადასხვა ხარისხით, შეზღუდულია საერთაშორისო სანქციებით, რომელიც მალე შეავიწროებს რუსეთს ყირიმში შეჭრის გამო“, — ნათქვამია თჰე ინანციალ თიმეს-ის სტატიაში.

ოხ ჴეწს-თან საუბრისას, მაიკ როჯერსმა ასევე განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინი უკან დახევას არ აპირებს. მისივე თქმით, უკრაინის საზღვრებთან მდგომ რუსეთის ჯარებს ყველაფერი აქვთ იმისთვის, რომ უკრაინაში შეიჭრნენ, თუ ამას გადაწყვეტენ.

„უკრაინის საზღვრებთან ჩვენ ათობით ათას სამხედროს ვხედავთ და საუბარია არა მხოლოდ რიცხოვნობაზე, არამედ მათ დანიშნულებასა და კონფიგურაციაზე. რამდენი სამხედრო ერთეულია განთავსებული საზღვარზე და რისი შესაძლებლობა აქვთ მათ. აღმოსავლეთ საზღვარზე მათ დღეისთვის ყველაფერი გააჩნიათ, რათა უკრაინის ტერიტორიაზე შევიდნენ, თუ ასეთი გადაწყვეტილება იქნება მიღებული“, — ციტირებს ამერიკული გამოცემა მაიკ როჯერსის სიტყვებს.

„ინტერპრესნიუსი“

„წულუკიანი კომიტეტის სხდომაზე ჭანჭიკებზე ღლაბუცობს“

საპარლამენტო უმცირესობის წევრმა, ჩიორა თაქთაქიშვილმა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა და ჟურნალისტებს განუცხადა: **„იუსტიციის მინისტრი, კომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად, ჭანჭიკებზე გვეღლაბუცება. ეს არის საქართველოს მოქალაქეების დაცინვა, დაცინვა იმ ოჯახებისა, სადაც მიცვალებულები ჰყავთ!“**

მისი თქმით, იუსტიციის მინისტრი არც ერთ იმ კითხვაზე არ სცემს პასუხს, რომელიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია.

„კომიტეტის სხდომაზე მოსული ვიყავი იმისთვის, რომ იუსტიციის მინისტრისგან გამეგო, რას აკეთებს და გააკეთებს იგი მომავალში ქვეყნის კატასტროფული მდგომარეობის გამოსასწორებლად. დღეს საქართველოში ხოცავენ მოწმეებს, იტაცებენ მათ, მაგრამ გამოძიება არაფერს აკეთებს. საგამოძიებო სტრუქტურები პოლიტიკური იარაღია ბიძინა ივანიშვილის და ჰაკიმ ფაშას ხელში. როდესაც იუსტიციის მინისტრი მოდის ადამიანის უფლებათა კომიტეტზე, უნდა ილაპარაკოს იმაზე, თუ რა არის გასაკეთებელი, რა არის საჭირო, რომ მეტი პატიმარი ციხეში არ მოკვდეს. წულუკიანი კი კომიტეტის სხდომაზე ჭანჭიკებზე ღლაბუცობს. გაოგნებული ვარ, აქ პოლიტიკურ კულტურაზე საუბარი არ შეიძლება“, – აცხადებს ჩიორა თაქთაქიშვილი.

ჩიორა თაქთაქიშვილსა და თეა წულუკიანს შორის ინციდენტი 1 აპრილს მოხდა, ადამიანის უფლებათა კომიტეტში გამართულ სხდომაზე, სადაც იუსტიციის მინისტრი საქართველოს პარლამენტის წინაშე მოხსენებით წარსდგა და ადამიანის უფლებების სფეროში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ისაუბრა. სხდომას ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრის მოადგილეები ალექსანდრე ბარამიძე, გოჩა ლორთქიფანიძე და მიხეილ სარჯველაძე, აგრეთვე, დანაშაულის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელი ჯონი კვინიკაძე.

„ნიუპოსტი“

სალომე ზურაბიშვილის პარტია უარს ამბობს არასაპარლამენტო ოპოზიციასთან კონსულტაციებზე

პარტია „საქართველოს გზის“ თავმჯდომარის პოსტიდან თემურ მურვანიძე გადაყენებულია, მის ადგილს კი პარტიის პოლიტიკური მდივანი ნინო ტაბიძე იკავებს, რომელიც აცხადებს, რომ მურვანიძე პირადი პრობლემების გამო დროებით არ შეასრულებს მოვალეობას, თუმცა „ნიუპოსტის“ ინფორმაციით, თემურ მურვანიძემ, თავმჯდომარის პოსტთან ერთად, პარტიაც დატოვა. რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, ზურაბიშვილის პარტიის ახალი თავმჯდომარე ამბობს, რომ პარტია არ აპირებს კონსულტაციების გამართვას არასაპარლამენტო ოპოზიციასთან, ხოლო მერის კანდიდატზეც ჯერ პოლიტსაბჭო არ ჩამოყალიბებულა.

„ნიუპოსტი“

მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები სამთავროს დედათა მონასტერშია დასვენებული

მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები მცხეთაში მდებარე სამთავროს დედათა მონასტერშია დასვენებული. ამჟამად ადგილზე სასულიერო პირები და მომლოცველები იმყოფებიან. მრევლის ნაწილი მამა გაბრიელის წმინდა ნაწილებს თბილისიდან მიაცილებდა, ნაწილი კი მის მონასტერში გადაბრძანებას ადგილზე ელოდებოდა.

მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები მცხეთაში ტრანსპორტით გადააბრძანეს, მცხეთის ხიდიდან კი მონასტერში ხელით მიაბრძანეს.

მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები სამების საკათედრო ტაძრიდან, 17:00 საათზე გამოაბრძანეს. ცერემონიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ესწრებოდა. სამებაში წესრიგს ჯარისკაცები იცავდნენ.

მამა გაბრიელის საფლავი 22 თებერვალს გახსნეს. ღირსი მამის ნეშტი სამთავროს დედათა მონასტრის ფერისცვალების ტაძარში გადაასვენეს, სადაც სასულიერო პირებმა პარაკლისი გადაიხადეს. ამის შემდეგ მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები სამთავროს ფერიცვალების ტაძრიდან სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში გადაასვენეს, სადაც მოგვიანებით უწმინდესი მიბრძანდა, რომელმაც წმინდა ნაწილები მოილოცა. სიწმინდის მოლოცვის საშუალება სვეტიცხოველში მრევლსაც ჰქონდა. 24 თებერვლიდან კი წმინდანის სხეული სამების ტაძარში იყო დაბრძანებული.

„ინტერპრესნიუსი“

ალექსი პეტრიაშვილი: „საქართველოს მოქალაქეები შენგენის ქვეყნებში უვიზოდ მოგზაურობას 2016 წლიდან შეძლებენ“

საქართველოს მოქალაქეები შენგენის ქვეყნებში უვიზოდ მოგზაურობას ყველაზე გვიან 2016 წლის დასაწყისიდან შეძლებენ, — ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა.

იგი იმედოვნებს, რომ ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების პირველი ფაზა მიმდინარე წლის ზაფხულის ბოლოს დასრულდება, ხოლო მეორე 2015 წლის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტამდე, რომელიც რიგაში ჩატარდება. ალექსი პეტრიაშვილის თქმით, უვიზო მიმოსვლა საქართველოს ყველა მოქალაქეზე გავრცელდება და არა მხოლოდ გარკვეულ კატეგორიაზე.

„ეს შეეხება აბსოლუტურად ყველა მოქალაქეს, ვისაც ექნება საქართველოს პასპორტი, მათ შორის აფხაზ და ოს მოქალაქეებსაც, როდესაც სამოქმედო გეგმის შესრულების ფაზები დასრულდება და ევროკავშირი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. თუკი შევძელით და ეს მოხდა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მომავალ სამიტზე, რამდენიმე თვეში, 2015 წლის ბოლოსთვის რეალურად შესაძლებელი იქნება, რომ პრაქტიკულად მიღებულ იქნას გადაწყვეტილება და ყველაზე გვიან 2016 წლის დასაწყისიდან საქართველო ნებისმიერმა მოქალაქემ შეძლოს, შენგენის ზონაში ვიზის გარეშე იმოგზაუროს“, — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცის სამოქმედო გეგმა საქართველოს 2013 წლის თებერვალში გადმოეცა. საქართველოს მიერ აღნიშნული გეგმის წარმატებით აღსრულების შემთხვევაში, შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე, ევროკავშირის სივრცეში (შენგენის ქვეყნებში) უვიზო მიმოსვლის რეჟიმი იქნება შემოღებული. სამოქმედო გეგმა ორი ფაზისგან შედგება და იგი, როგორც საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე ცალკეული მიმართულებებით (დოკუმენტების უსაფრთხოება, საზღვრის მართვა, მიგრაცია, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები) რეფორმების განხორციელებას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს, თავდაპირველად, ჰქონდათ მოლოდინი, რომ ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ეტაპის დასრულება ვილნიუსის სამიტამდე მოხდებოდა, მოგვიანებით კი ამ თარიღმა 2014 წლის დასაწყისამდე გადაიწია. დღეს სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ ქართული მხარე სამოქმედო გეგმის პირველი ნაწილის დასრულებას ზაფხულის ბოლომდე ვარაუდობს.

„ინტერპრესნიუსი“

აკაკი ბობოხიძე: „ჩემი ძმა ხელისუფლების პატიმარია“

საპარლამენტო უმცირესობის წევრ აკაკი ბობოხიძის განცხადებით, მისი ძმა ლევან ბობოხიძე ხელისუფლების პატიმარია, პროკურატურისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თანამშრომლობით კი მისთვის წინასწარი პატიმრობის ვადის ხელოვნურად გახანგრძლივება ხდება.

„სასამართლოს წარვუდგინე დოკუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს გირაო ეცნო და ამის შემდეგ ჩემი ბინის იპოთეკით დატვირთვა მომხდარიყო. როგორც აღმოჩნდა, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღება გააჭიანურა. ჩანს, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე მალხაზ გურული და საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დავით ახალბედაშვილი ხელისუფლებასთან გარიგებაშია. პროკურატურის სარჩელს, რომელიც ლევან ბობოხიძის მიმართ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას უკავშირდება, სწორედ გურული განიხილავს. ეს ის მოსამართლეა, რომელსაც ცხოვრებაში ორად ორი საქმე აქვს განხილული: ერთი ვანო მერაბიშვილის და მეორე — ჩემი ძმის. ჩემი ძმა ისევ პატიმრობაში რჩება“, — აღნიშნა ბობოხიძემ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ლევან ბობოხიძეს სახელმწიფო ქონების გაფლანგვის, სამსახურებრივი სიყალბისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების ფაქტზე, აღმკვეთი ღონისძიების სახით, 50 000-ლარიანი გირაო შეეფარდა. გირაოს თანხის უზრუნველყოფას კი აკაკი ბობოხიძე საკუთარი ბინის იპოთეკაში ჩადებით აპირებს.

„ინტერპრესნიუსი“

„კოალიციის წევრები სიებს ისე ვადგენთ, რომ გაერთიანების დაშლას არ გამოიწვევს!“

რატომ არ უჭერს მხარს, ამ ეტაპზე, სააკაშვილის დაპატიმრებას და როგორ აფასებს პოლიტიკურ ძალთა გადანაწილებას ლევან ბერძენიშვილი

ეროსუდან შელია
557-100-768

ნაციონალური მოძრაობის მუქარას ბაქიბუქობად აფასებს, მიხეილ სააკაშვილს კი მხდალს უწოდებს — სამშობლოში ჩამოსვლის ეშინიაო. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ექსპრეზიდენტისთვის ბრალის წაყენება ხელისუფლებისთვის აკვიატებად არ უნდა იქცეს. არც იმას მალავს, რომ „ქართულ ოცნებაში“ თვითმმართველობის არჩევნებისთვის კანდიდატების შერჩევისას გარკვეული უთანხმოება არსებობს, თუმცა ამ პროცესს ჯანსაღი პოლიტიკის ნაწილად მიიჩნევს და კანდიდატთა სიის საფუძველზე კოალიციის დაშლას გამორიცხავს. „ვერსიასთან“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, უმრავლესობის წევრი, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი აფასებს.

— ნაციონალურ მოძრაობას ხელისუფლებასთან დაპირისპირების უფლება აქვს, თუმცა კანონიერების ფარგლებში. თანაც საამისოდ მოსახლეობის შესაბამისი მხარდაჭერაც სჭირდება, რაც არ აქვს. შესაბამისად, „თბილისური მაიდნით“ მუქარა მხოლოდ ბაქიბუქია და მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება. სინამდვილეში, ნაციონალური მოძრაობა იმაზე ბევრად სუსტია, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნებამდე იყო. რევოლუციისთვის არც საქართველოა მზად, ასე რომ, ამ მიმართულებით მშვიდად ვართ და თვითმმართველობის ადგილობრივი არჩევნებისთვის ვემზადებით.

— **სიმშვიდეს არც მიხეილ სააკაშვილის განცხადებები გირღვევთ, რომელიც პოლიტიკაში ახალი მისიით დაბრუნებაზე საუბრობს?**

— სანამ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდება, ჯერ საქართველოში ჩამოსვლა უნდა მოახერხოს, მაგრამ ამას ვერ ბედავს, ეშინია. შესაბამისად, მისი განცხადებებიც მხოლოდ საბავშვო ბაღის დონის საუბრებს ემსგავსება. სააკაშვილი ყავლგასული, ყოფილი პოლიტიკოსია და მას განსაკუთრებული მნიშვნელობაც არ უნდა მივანიჭოთ. თუ პროკურატურას არსებულ კითხვებზე უპასუხებს და საბოლოოდ გაირკვევა, დამნაშავეა თუ პატიოსანი, ამის შემდეგ პოლიტიკაში დაბრუნებაზე საუბარი სულ სხვა საქმე იქნება. თუმცა ვიმეორებ, ის ისეთი მხდალია, სამშობლოში ფეხის დადგმისაც კი ეშინია. უბრალოდ, ხმაურიანი განცხადებებით ყურადღების მიქცევას ცდილობს. ჩემ თვალში სააკაშვილმა ყოველგვარი პოლიტიკური წონა მაშინ დაკარგა, როცა არჩევნებში სამარცხვინოდ წააგო. ახლა ნულის დონეზეც აღარ არის. კარგად მახსოვს, ბათუმიდან გაქცეულმა ასლან აბაშიძემაც შემოგვითვალა — მალე დავბრუნდები და გავიმარჯვებო, მაგრამ მაშინ მისი ნათქვამი სერიოზულად არავინ ჩათვალა.

— **ირაკლი ღარიბაშვილის განცხადების შემდეგ, გაჩნდა ვერსია, რომ პროკურატურა მიხეილ სააკაშვილისთვის მხოლოდ კითხვების დასმით არ შემოიფარგლება და მას ბრალსაც წაუყენებს. ცნობილია, რომ თქვენ ამის მომხრე არ ხართ.**

— მოდი, ჯერ ის ვთქვათ, რატომ უწოდებს მიხეილ სააკაშვილი პროკურატურას არალეგიტიმურს? „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში ლეგიტიმურად გაიმარჯვა, მთელი მსოფლიო გველაპარაკება, შესაბამისად, არალეგიტიმურობაზე საუბარი მისი მორიგი იდიოტობაა — ეშინია და მუქარაზე გადადის. რაც შეეხება მისთვის ბრალის წაყენებას, ჩემი აზრით, ბრალის წაყენება გამართლებულია მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეებს კარგად გამოვიძიებთ, მის მიმართ ეჭვის საფუძველიც რომ აღარ დარჩეს. წინასწარ ბრალი არავის უნდა წავუყენოთ — არც სააკაშვილსა და არც რიგით მოქალაქეს. თუ გამოძიების შედეგად გამოიკვეთება, რომ სააკაშვილი დამნაშავეა, მე ვინ რას მკითხავს, ბრალსაც წაუყენებენ და ციხეშიც ჩასვამენ. თუმცა ხელისუფლებას ექსპრეზიდენტისთვის ბრალის წაყენება აკვიატებად და მთავარ იდეად არ უნდა ექცეს. ოღონდ ბრალი წავუყენოთ და დამნაშავე არის თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს — ამ მიდგომას არასოდეს დავუჭერ მხარს.

— **ამასობაში, თვითმმართველობის ადგილობრივი არჩევნებიც მოახლოვდა, კოალიციაში კი, გუბაზ სანიკიძის განცხადების მაგალითზეც გამოჩნდა, რომ ყველა პარტია საარჩევნო სიაში საკუთარი კანდიდატურის ჩასმას ცდილობს.**

— კოალიციაში შემავალ პარტიებს შორის პრობლემები არ არსებობს. თუ ვინმე ხელისუფლებაზე კრიტიკულად საუბრობს, მათ შორის, გუბაზ სანიკიძე, ეს ნორმალურად მეჩვენება. რაღაცებზე სახლში მეც ვსაუბრობ. შესაბამისად, ჩემიანებს რას ვეტყვი, რა მნიშვნელობა აქვს?!

— **თუ პარტიების ლიდერები სხვადასხვა პოზიციაზე ხართ, კოალიციაში მხოლოდ ხელისუფლებაში ყოფნის სურვილი გაერთიანებთ?**

— ჩვენ საერთო პროგრამა გვაქვს, რომელსაც ხელი ერთობლივად მოვაწერეთ და დეკლარირებული ამოცანებით არჩევნებზე ერთად გავდივართ. თვითმმართველობის არჩევნებში კი აუცილებლად გავიმარჯვებთ, ამას გამოკითხვებიც მოწმობს. ასე რომ, ვინ რას ამბობს, ამაზე თავს არ ავიტკიებთ, სხვებმა ინერვიულონ. ხელისუფლების მიმართ შენიშვნებზე არ ვისაუბრებ, რადგან ოპოზიციაში არ ვარ. როცა ვიქნებით და საერთოდ თუ ვიქნებით, რესპუბლიკელები აუცილებლად ღიად ვისაუბრებთ.

— **მანამდე „ქართული ოცნების“ გარდაბნისა და რამდენიმე რეგიონის შტაბის წევრები ღიად საუბრობენ, რომ კოალიციის სახელით არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის წევრები იყრიან კენჭს.**

— დიახ, არიან პირები, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის წევრები არასოდეს ყოფილან, მაგრამ მათ წინა ხელისუფლება ადგილობრივ ლიდერებად ასახელებდა. შესაძლოა, ეს ადამიანები კოალიციაში, მართლაც, აღმოჩნდნენ, მაგრამ ეს ხომ კანონით არ იკრძალება?! პირადად მე, რესპუბლიკურ პარტიაში დავიბადე, გავიზარდე და ამავე პარტიაში მოვკვდები, მაგრამ ყველასთვის მაგალითი ვერ გავხდები. ჩვეულებრივი მოვლენაა, თუ ნაციონალური მოძრაობის წევრები პარტიას იცვლიან, კარგმა კადრმა, შესაძლოა, წარმატებებს ამ მეთოდით მიაღწიოს.

— **თუმცა ის ადამიანები, რომლებიც არჩევნებამდე თქვენ მხარდამჭერებს ატერორებდნენ, კოალიციაში გადასვლით პასუხისმგებლობას სრულად იხსნიან?**

— კი ბატონო, მაგრამ უნდა გვესმოდეს, ყოველთვის გამოჩნდება ადამიანი, რომელიც იტყვის, ნაციონალური მოძრაობის წევრზე უკეთესი ვარო. პარტიამ კი იმის მიხედვით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ვის მეტი შანსი აქვს და ვინ რა ავტორიტეტით სარგებლობს. მსგავსი რამ ყველა არჩევნებში ხდება. ნაციონალური მოძრაობა იმ პირს დააყენებს კანდიდატად, ვინც სხვებზე ძლიერია, „ქართული ოცნებაც“ ამ პრინციპით იხელმძღვანელებს. შესაძლოა, უკმაყოფილება ჩემ პარტიაშიც გაჩნდეს — სიაში ერთს რომ ჩავსვამ, მეორეს ეწყინოს, თანაპარტიელზე უკეთესი ვარო. პოლიტიკაში ასე ხდება. ეს ჩვეულებრივი ამბავია, თუ საუბარი ამაზე არ იქნება, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში პოლიტიკური პროცესი მოკვდა. ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. მთავარია, არჩევნებში ვინ გაიმარჯვებს, ვინ იქნება სხვებზე ძლიერი. კოალიციის წევრები ადგილობრივ არჩევნებში სიებს ისე ვადგენთ, რომ გაერთიანების დაშლას არ გამოიწვევს. ამ მიმართულებით საკმაოდ მყარი გამოცდილება მაქვს და საეჭვოც არაფერი იქნება.

— **ოპოზიციურ ფლანგზე მიმდინარე გადაჯგუფების პროცესიც შეაფასეთ — ნინო ბურჯანაძე კოალიციაში მხოლოდ რამდენიმე პარტიას აერთიანებს, დიდი ოპოზიციური გაერთიანება კი, ამჯერადაც ყაბადაღებულ თემად იქცა.**

— ველოდებოდი, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია გაერთიანდებოდა და არჩევნებში საერთო კანდიდატს დაასახელებდა. ეს ნაბიჯი მათ ნაციონალური მოძრაობის მეორე ადგილიდან ჩამოგდების შესაძლებლობას მისცემდა, მაგრამ ფაქტია, პარტიებს გაერთიანება უჭირთ. უამრავი პრობლემა შეხვდათ, რაზეც მათვე უნდა ისაუბრონ. ვფიქრობ, ჯერ კიდევ არის დრო, სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღონ. ეს მათთვის სასარგებლო იქნება.

— **არასაპარლამენტო ოპოზიცია ეჭვობს, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ამ არჩევნებში გარიგდნენ და საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად, ამჯერადაც პირველ-მეორე ადგილს გაიყოფენ. თქვენი განცხადება ამაზე მიანიშნებს?**

— მხოლოდ ვამბობ, რომ შეიძლება არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს ნაციონალური მოძრაობის ჩაჩოჩება არ გაუჭირდეთ, მაგრამ გაერთიანება ამ მიმართულებით მეტ შანსს გააჩენდა. ახლა კი ხმებს ერთმანეთს წაართმევენ. ნაციონალურ მოძრაობას გარანტირებული არაფერი აქვს, არც მეორე და არც მესამე ადგილი. მათთვის ყველაფერი საბრძოლველია ისევე, როგორც დანარჩენი პოლიტიკური ძალებისთვის.

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI

IDFI სახელმწიფო შპს-ებისა და ააიპ-იების ხელმძღვანელთა 2013 წლის შემოსავლებს აქვეყნებს

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი IDFI სახელმწიფო შპს-ებისა და ააიპ-იების (არასამეწარმო არაკომერციული იურიდიული პირი) ხელმძღვანელთა გასაჯაროებულ შემოსავლებს აქვეყნებს.

IDFI ქონებრივი დეკლარაციების ვებგვერდზე გამოქვეყნებული დეკლარაციებიდან იმ სააქციო საზოგადოებებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელების შემოსავლების შესახებ ავრცელებს ინფორმაციას, რომელთა აქციების ან წილის 100 პროცენტს სახელმწიფო ფლობს.

IDFI-ის ინფორმაციით, 2013 წელს სს „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ირაკლი კოვზანაძემ 323 250 ლარი შემოსავალი მიიღო.

218 329 ლარი მიიღო საქართველოს სს „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე სულხან ზუმბურიძემ.

„საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა, მამუკა ბახტაძემ აღნიშნულ თანამდებობაზე 194 925 ლარი, ხოლო შპს „ჯორჯია ტრანზიტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე 46 409 ლარი მიიღო.

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ გენერალური დირექტორმა — ვახტანგ ამბოკაძემ 118 606 ლარი, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ გენერალურმა დირექტორმა დავით თვალაბეიშვილმა აღნიშნულ თანამდებობაზე 25 000 ლარი, სს „საპარტნიორო ფონდის“ ენერგეტიკის საკითხებში აღმასრულებელი დირექტორის მრჩევლის თანამდებობაზე 115 500 ლარი, ხოლო შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ გენერალური დირექტორის მრჩევლის თანამდებობაზე 44 400 ლარი მიიღო სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორმა გიორგი ბეჟუაშვილმა 84 625 ლარი მიიღო.

რაც შეეხება შპს-ების ხელმძღვანელებს, რომელთა აქციათა ან წილის 100 პროცენტს ფლობს სახელმწიფო, მათი შემოსავლები 2013 წელს ასე გამოიყურება:

შპს „ბათუმის აეროპორტის“ დირექტორი მეთე ერქალი 379 915 ლარი;

შპს „ბათუმის აეროპორტის“ დირექტორი ჰასანტარიქოს მანაღაოღლუ -234 880 ლარი;

შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ ხელმძღვანელი ირაკლი ცივაძე 155 036 ლარი;

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ხელმძღვანელი არჩილ ცაბუტაშვილი – 142 499 ლარი;

შპს „ბათუმის აეროპორტის“ მენეჯერი მერთ ქანდიელი 120 572 ლარი;

შპს „ენერგოტრანსის“ ხელმძღვანელი კახა სეხნიაშვილი 112 000 ლარი;

შპს „საქართველოს ფოსტის“ ხელმძღვანელმა ლევან ჩიკვაიძემ აღნიშნულ თანამდებობაზე 35 966, ხოლო საქართველოს ლატარიის კომპანიის ხელმძღვანელის თანამდებობაზე 66 573 ლარი მიიღო;

შპს „ბათუმის აეროპორტის“ დირექტორი თამაზ ანდღულაძე 98 421 ლარი;

„საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ გენერალური დირექტორი მამუკა კობახიძე 96 000 ლარი;

შპს „საქაერონავიგაციის“ გენერალური დირექტორი გოჩა მეზვრიშვილი 89 733 ლარი;

შპს- „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ გენერალური დირექტორი ლევან კოპლატაძე 83 200 ლარი;

შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ლევან მებონია 80 600 ლარი.

IDFI აღნიშნავს, რომ თანამდებობრივი რეესტრის შესაბამისად ახლად დამატებული პირების მონაცემები 2014 წლის მარტის მდგომარეობით ქონებრივი დეკლარაციების ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

„აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, ასეთი მონაცემები პირველად გახდა ხელმისაწვდომი ფართო აუდიტორიისთვის. თანამდებობის პირების ჩამონათვალის გაფართოება წინგადადგმული ნაბიჯია ხელისუფლების ღიაობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით. აღნიშნული მნიშვნელოვანია პირველ რიგში კორუფციასთან და ინტერესთა შეუთავსებლობასთან ბრძოლის კონტექსტში. საზოგადოებას ეძლევა საშუალება გადაამოწმოს სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელი მენეჯმენტის ქონებრივი მდგომარეობა, შეაფასოს მათი ანაზღაურებისა და შემოსავლების პროპორციულობა საწარმოთა მასშტაბებსა და წარმატებულ საქმიანობასთან, ისევე როგორც დააკვირდეს ამ პირთა კარიერულ წინსვლას სხვადასხვა პოლიტიკურ თუ სამეწარმეო ასპარეზზე“, — ნათქვამია IDFI-ის ინფორმაციაში.

„ინტერპრესნიუსი“

კონსტანტინე გამსახურდია ედუარდ შევარდნაძის დაკითხვას ითხოვს

ექსპრეზიდენტის შვილის თქმით, მან 2011 წელს პროკურატურას იმ პირთა სია გადასცა, რომელთა გამოკითხვაც კომისიის ფარგლებში ვერ მოხერხდა, მათ შორის, ედუარდ შევარდნაძე და უშიშროების მაშინდელი მაღალჩინოსნები. როგორც კონსტანტინე გამსახურდია აცხადებს ის, რაც 1994-დან 2004 წლამდე პროკურატურამ გააკეთა, გამოძიება კი არა, საქმის მიჩქმალვა იყო. კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, მათ პარლამენტში ედუარდ შევარდნაძის მოწვევა სურდათ, 2-ჯერ კურიერის საშუალებით მოწვევაც გაეგზავნა, თუმცა მან საგაზეთო ინტერვიუს საშუალებით უარი განაცხადა: **„შეცდომა დავუშვი, როდესაც მან განაცხადა, კონსტანტინე ჩემთან აქეთ მოვიდესო, ვიფიქრე, ეს საქმიანი საუბარი არ იქნებოდა და არ მივედი. დღევანდელი გადასახედიდან ვთვლი, რომ უნდა მივსულიყავით და ის რაღაცას მაინც იტყოდა საყურადღებოს. მას სჩვევია ყველაფერზე და არაფერზე საათობით საუბარი. ეს იყო ერთადერთი შეცდომა, რომელიც ჩვენმა კომისიამ დაუშვა და ეს პირადად ჩემი ბრალია. ვიდრე ეს ადამიანი ცოცხალია, მისი დაკითხვა აუცილებლად უნდა მოხდეს, მაგრამ თუ პროკურატურა ამ საკითხს ისევ გაწელავს და დაელოდება ბატონი ედუარდის გარდაცვალებას, ჩვენ ამ საკითხს ნამდვილად ვერ გადავწყვეტთ. დრო გადის, ბევრი გარდაიცვალა, სხვათა შორის, ადამიანები დახოცეს კიდეც, მაგალითად, ბადრი ზარანდია, გია გულუა, ვინც ამ მკვლელობასთან დაკავშირებით ფასეულ ინფორმაციებს ფლობდნენ“.**

კონსტანტინე გამსახურდია აცხადებს, რომ ედუარდ შევარდნაძეს ინტერვიუებში კიდევ ბევრი საინტერესო რამ აქვს გაცხადებული: **„მაგალითად, ერთხელ თქვა, ჯეიმს ბეიკერმა მითხრა, ზვიად გამსახურდიას როგორც უნდა ვუდგებოდეთ და ვუყურებდეთ, მაინც ლეგიტიმურია და შენ ლეგიტიმურობა გაკლიაო. ეს ძალიან სერიოზული რამ არის. ამერიკელების პოზიციით თურმე მას ლეგიტიმურობა აკლია და როგორ უნდა მოხდეს ლეგიტუმურობა, რომ მოვკლათ ლეგიტიმური პრეზიდენტი, ეს მოგვცემს ლეგიტიმურობას? არამც და არამც, პირიქით, ცუდად ჩაგვეთვლება. რომ დავაპატიმროთ პრეზიდენტი და თბილისში ჩამოვიყვანოთ, ეს რამეს მოგვცემს? არ მგონია, იმიტომ, რომ რაზე უნდა გაასამართლო პრეზიდენტი, რომელიც ძალის გამოყენებით დაამხე. ე.ი. რა უნდა ქნა? პრეზიდენტმა თავი უნდა მოიკლას. პრეზიდენტი თავს მოიკლავს, რა ვქნათ, პრეზიდენტია, თავი მოიკლა, არავის მოუკლავს?“** კითხვაზე, იყო თუ არა ეს ლეგიტიმურობის მისაღებად შევარდნაძის სცენარი, გამსახურდიამ უპასუხა: **„რასაკვირველია. შევარდნაძის და კიდევ რა ძალების ახლა მიჭირს ვთქვა, რადგან კონსპიროლოგიაში და შეთქმულების თეორიაში გადავალ და არ მინდა. როგორც ჩანს, შევარდნაძე მარტოც არ იყო. ეს არის ზოგადად, შეთქმულება საქართველოს, ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ვიღაცებმა ხელში ჩაიგდეს ყველაფერი და ვიღაცებს დარჩათ არაფერი, აი, ეს არის შედეგი!“**

„პირველი“

ერეკლე კოდუასა და ვანო მერაბიშვილს ბრალს ვალერი გელაშვილის ცემის გამოც წაუყენებენ

როგორც „პირველს“ გელაშვილმა განუცხადა, მისი ცემის ბრძანება პირადად მიხეილ სააკაშვილმა გასცა, ხოლო შემსრულებელი ერეკლე კოდუა იყო.

„როგორც ვიცი, ჯერჯერობით, ბრალი არავისთვის წაუყენებიათ, მაგრამ უახლოეს დღეებში ვანო მერაბიშვილს წაუყენებენ. ასევე ვიცი, რომ ჩემი ცემის ბრძანება სააკაშვილმა გასცა, შემსრულებელი კი იყო კოდუა. არიან ასევე სხვა შემსრულებლებიც, ვინც ჩემს ცემაში მონაწილეობდა და რომელთა ბრალეულობაც იკვეთება, ესენი არიან სპეცრაზმელები“, – განუცხადა „პირველს“ ვალერი გელაშვილმა, თუმცა მისი ცემის ფაქტის გახსნის ინფორმაციის წყარო არ დაუკონკრეტებია.

მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თემურ დოლიძე კი აცხადებს, რომ დეპუტატის ცემის ფაქტის გამოძიება დასკვნით ფაზაშია და მალე დასრულდება, ამდენად ვინმესთვის ბრალის წაყენებაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია.

„პირველი“

ბოცო ხარ თუ სუპერმენი ანუ ღია წერილი ნუგზარს!

გიორგი იაშვილი

კვირას ღამით მაშინ, როცა ორშაბათი თენდებოდა და გაყვავილებულ ხეხილს მარტის ყინვა უტევდა, საკუთარ სახლთან ნუგზარ წიკლაური გაილახა. არ დამიწყო მერე ბოცო, ცუდად დაწერე, ისეო, ასეო... ხედავ, როგორი რომანტიკული გარემო შეგიქმენი იმ ტყუილის „გასაპრავებლად“, მეორე დღეს, ანუ ორშაბათს რომ მოგვიყევი. ახლა მე იმას კი არ გედავები, არ გცემეს-მეთქი, მითუმეტეს ფაქტი სახეზეა, არამედ იმას ვამბობ, რომ შენ ძალიან ბევრი რამე მოიტყუე და ახლავე აგიხსნი, რატომ მეპარება შენი მონათხრობის სისწორეში გონივრული ეჭვი.

პირველი ის, რომ ნებისმიერი ადამიანის (ვიმეორებ, ნებისმიერის) მიმართულებით ორჯერ ელექტროშოკი რომ გამოიყენო, მინიმუმ ფეხზე ვერ დადგება. ის აუცილებლად დაეცემა მიწაზე და მიწაზე დაცემულის მანქანაში შეთრევას კიდევ ბევრი არაფერი უნდა. „ეტა რაზ“, ჩემო ბოცო!

მეორე ის, რომ თავად ამბობ (ვინ გექაჩება ენაზე), თავდამსხმელები შვიდი ან რვანი იყვნენ და როგორც ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლები, ისე მოქმედებდნენ, მწყობრად და ხმას არ იღებდნენო. ბიჭო, შენ ბოცო ხარ თუ სუპერმენი?! რვას თავი დავანებოთ, შვიდი კაცი თუ გირტყამდა, მეტი ვერაფერი დაგაკლეს? არ დამიწყო ახლა, თავს ვიცავდიო, მაგარი ჩხუბი ვიციო, ისაო, ესაო... ორი კაცი ისე დაგამუშავებს, გივი თარგამაძეს სანამ პასპორტს (ან ID ბარათს) არ აჩვენებ, მანამ ვერ გიცნობს. „ეტა დვა“!

ახლა „ტრი“! სერიოზული ეჭვი არსებობს, რომ ეს თავდასხმა ან შენი და შენი თანაგუნდელების ტვინში მოიხარშა, ან ის ხალხი, თავის დროზე ანუ სულ რაღაც ორიოდე წლის წინ, ხელისუფლების ზენიტში მყოფი რომ აბრაზებდი და საკუთარი ინტერესების სანაცვლოდ, მათ ინტერესებს ფეხქვეშ თელავდი, უბრალოდ დაგხვდა და გაგძუყნა. არც ის გაგიკვირდეს, შენს თანამებრძოლებს შენი ცემა შენგან დამოუკიდებლად დაეგეგმათ, ყველაფერი ბუნებრივი რომ ყოფილიყო და შენც შეშფოთებული სახე გქონოდა, ზუსტად ისეთი, როგორიც გქონდა. სად არ გაგიმართლა ისე?! რომელიმე მაღალჩინოსანი მაინც ჩამოდიოდეს, გაგორდებოდი ჩიორა თაქთაქიშვილივით ლოგინში, მოგაკითხავდა რომელიმე ევროპელი და შენ ჩიორასავით დაიწყებდი, აგერ, ფუა მაქვსო. ფუას ხსენებაზე ჟურნალისტები ჯერ შენს თანაგუნდელებს გახედავდნენ, მერე შენ... რა ვიცი, ჩიორას შემთხვევაში კი ასე იყო და...

ახლა რაც შეეხება იმ ვერსიას, სოცქსელებში მოსახლეობა რომ ავითარებს. უმრავლესობის აზრით (საპარლამენტო კი არა, ისე, ჩვეულებრივი უმრავლესობის), ნაციონალური მოძრაობის წევრებზე ნადირობის სეზონი დაიწყო და ხელისუფლების უნიათობის შემხედვარე ადამიანებმა თავად დაიწყეს ჯავრის ამოყრა ყოფილი ხელისუფლების ოდიოზურ ფიგურებზე და შენ რომ ოდიოზური ხარ, კი უნდა იცოდე ჩემზე კარგად. ეს ყველაზე ცუდი ვარიანტია შენთვის და შენი თანაგუნდელებისთვის (არ გეწყინოს, შენობით რომ მოგმართავ, კი ვიცნობთ მე და შენ ერთმანეთს ისე, ასე რომ გელაპარაკო). თუ მართლაც შურისძიება დაიწყო, მაშინ ხალხს ჭკუა უსწავლია. აგერ, რუსთავის მე-17 დაწესებულების დირექტორყოფილი ლაშა ბრეგვაძე ისე სცემეს, სახეები და სახელები დაიმახსოვრა და ახლა იმ ბიჭებს სასამართლოში დაარბენინებენ. შენ კი არც სახე დაგინახავს, არც სახელები იცი... ზუსტად ისეა რა, „პადსკალზნულსა, აჩნულსა... გიპს“.

ყურში ცუდად გხვდება ხომ, ოკუპანტების ენაზე რომ გიხსნი, რაც გჭირს და რაც დაგემართა? რა ვქნა, ჩემო ბოცო, მეც ცუდად მხვდებოდა ის, რასაც შენ ამბობდი მთელი ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ არ მიჯერებდი, მიშაზე აბოდებდი და ისიც მახსოვს, ნემიროვის „ვოდკით“ მაგის სადღეგრძელო რომ დალიე და ზედ მჟავე კიტრი მიაყოლე კმაყოფილმა. ომამდე იყო ეს, იმ ომამდე, თქვენ ყველა ტანკისტი რომ იყავით, მერე ყველა სპრინტერები გახდით და ვინ სად გარბოდა, დღემდე არკვევთ.

ახლა შენს თანამებრძოლ თუ თანაპარტიელ ქალბატონებზე მოგახსენებ.

„ქუჩის ომებზე გადასვლა ნიშნავს 90-იანებში დაბრუნებას! დეპუტატზე რომ თავდასხმასა და გატაცებას გაბედავენ, ესე იგი, სრულიად თავზეხელაღებით იბრძვიან წარსულის მოსაბრუნებლად. რამ გაგამწარათ ასე და რამ გაგაბოროტათ?! სრულიად წარმოუდგენელია ის, რაც დღეს დაიწყო, ამით მართლა დაიწყო რაღაც ძალიან ცუდი“, — ამ სულისშემძვრელ სტატუსს მარიამ საჯაია აქვეყნებს.

შენ ხომ მაინც იცი, ბოცო, 2003 წელს მარიამი 12 წლის იყო და პერანგისა და მისი ამხანაგის ამარა დარბოდა. ისე, მაგის ასაკს თუ გავითვალისწინებთ, ახლაც მასე უნდა დარბოდეს, მაგრამ ეგ შიდაპარტიული საქმეა და შენ უკეთ გეცოდინება. მარიკუნამ ალბათ არც ის იცის, რომ პარლამენტარების ცემა თქვენი დამკვიდრებულია და ის, რაც წინა ხელისუფლების დროს ვალერი გელაშვილს უქნეს (დააკვირდი ბოცო, კი არ ვამბობ უქენით-თქო, უქნეს-მეთქი), სასიკვდილოდ გამეტება იყო. ჰოდა, გააჩუმე ეგ ბავშვი, კარგს რომ არაფერს ამბობდა, იმიტომ გაუშვით სასწავლებლად, მაგრამ ან ვერ სწავლობს, ან არ სწავლობს.

ახლა მეორე ქალბატონზე გეტყვი, ზრდასრულსა და... მოკლედ, გეტყვი.

„ღამის 3 სთ. დეპუტატ ნუგზარ წიკლაურს თავს დაესხა ორგანიზებული ბანდა და სცადეს მისი გატაცება. მიუხედავად მასზე ფიზიკური ძალადობისა, ყველა მცდელობა ფუჭია, მორალურად გატეხონ ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება სამშობლოს სამსახურში დგას. იდიოტია ამ ოპერაციის დამგეგმავიც და შემსრულებელიც, ამ სულმდაბალი საქციელით მას კიდევ უფრო უძლიერებთ სურვილს, არ დანებდეს ქვეყნის მაოხრებლებს... ბოცო <3“, — ხვდები ხომ ნუგზარ, გულს ასე ლამაზად მხოლოდ ეკა ხერხეულიძე რომ დაგიხატავდა.

შენი არ იყოს, მაგასაც მუდამ ვუმეორებ, ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გააკეთებ-თქო და ახლა რომ გაირკვეს, მაგ საქმეში შენი თანაგუნდელების ხელი ურევია, რა გამოვა? მთელ ნაცმოძრაობას ხომ იდიოტებად გამოგიყვანთ ეს ქალი და... გახსოვს, სულ ადრე, ძალიან ადრე რომ ვამბობდი, ქალები დაგღუპავენ თქვენ, ქალები და დროსტარება-თქო.

შენი მონინააღმდეგეები რასაც წერენ სოცქსელებში, იმას ნამდვილად ვერ დაგიწერ, რადგან რედაქტორი არ დამიბეჭდავს. „ფლეიბოი“ რომ არ დახურულიყო, იქ გავუშვებდი შენი ოპონენტების ნააზრევს, მაგრამ ხომ იცი, საქართველოში „ფლეიბოი“ არ ამართლებს და ბიჭებს უთხარი, თამაშს შეეშვან... იცი შენ, რასაც ათამაშებენ, ჩემზე უკეთ იცი...

P.S. ისე, გივი თარგამაძეზე პასპორტის ჩვენება ბარემ ბევრს უნდა, მაგრამ...

ვერსიანიუსი

IRI-ის გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არჩევნების შემდეგ პროდუქტზე ფასები გაიზარდა

The International Republican Institute IRI advancing democracy worldwide

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არჩევნების შემდეგ პროდუქტზე ფასები გაიზარდა.

კითხვაზე, როგორ ფიქრობთ, არჩევნების შემდეგ საქართველოში პროდუქტზე ფასები გაიზარდა, იგივე დარჩა თუ შემცირდა, გამოკითხულთა 69% პასუხობს, რომ ბოსტნეულზე ფასი გაიზარდა, 28% მიიჩნევს, რომ შემცირდა, 1% კი ფიქრობს, რომ იგივე დარჩა; გამოკითხულთა 62%-ის აზრით, არჩევნების შემდეგ ხორცზე ფასი გაიზარდა, 34% მიიჩნევს, რომ შემცირდა, 2% კი ფიქრობს, რომ იგივე დარჩა; გამოკითხულთა 62% ფიქრობს, რომ ყოველდღიური მოხმარების პროდუქტზე ფასი გაიზარდა, 34% ფიქრობს, რომ შემცირდა. გამოკითხულთა 60% მიიჩნევს, რომ ხილზე ფასები გაიზარდა, 36%-ის აზრით შემცირდა, 1% ფიქრობს, რომ იგივე დარჩა.

რაც შეეხება მედიკამენტებს, გამოკითხულთა 52%-ის აზრით, ფასები გაიზარდა, 34%-ის აზრით, შემცირდა, 9% ფიქრობს, რომ იგივე დარჩა; საწვავის ფასთან დაკავშირებით, გამოკითხულთა 47% ფიქრობს, რომ ფასი გაიზარდა, 34% ფიქრობს, რომ შემცირდა, 7% ფიქრობს, რომ იგივე დარჩა; გამოკითხულთა 36%-ის აზრით, პურისა და პურპროდუქტების ფასი გაიზარდა, 60% ფიქრობს, რომ შემცირდა, 7% ფიქრობს, რომ იგივე დარჩა. გამოკითხულთა 8% მიიჩნევს, რომ ელექტროენერგიის ღირებულება გაიზარდა, 50% ფიქრობს, რომ შემცირდა, 40%-ის აზრით, ფასი იგივე დარჩა. გამოკითხულთა 8%-ს აზრით, წყლის გადასახადმა მოიმატა, 67% ფიქრობს, რომ შემცირდა, ხოლო 4%-ის აზრით იგივე დარჩა. გამოკითხულთა 6%-ის აზრით, ბუნებრივ აირზე ფასი გაიზარდა, 48% - ის აზრით, შემცირდა, ხოლო 25% ფიქრობს, რომ იგივე დარჩა.

IRI-მ გამოკითხვა 2014 წლის 19 თებერვლიდან 13 მარტამდე ჩაატარა. გამოკითხვაში 18 წელს გადაცილებულმა 3 992 მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა. ცდომილება 1,5%-ს შეადგენს.

„ინტერპრესნიუსი“

სკანდალური სია ადამიანებისა, ვინც შინდისში, ტაბახმელაში, კოჯორში, წავკისსა და კიკეთში სახელმწიფოს მიწის ნაკვეთები აჩუქა!

გარდაბნის რაონში, ნაციონალების უმძიმეს მემკვიდრეობაზე „ვერსია“ უკვე რამდენიმე თვეა მუშაობს. როგორც ჩანს, პრობლემაა ყველაფერი — „წავკისელი ფეოდალების“ გასხვისებული მიწებით დაწყებული გარდაბნის გამგებლის კანდიდატურითა თუ „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის დანიშვნით დამთავრებული, რომელიც რატომღაც მმართველმა პარტიამ ყველა რაიონში შეარჩია, გარდაბნის გარდა. თუმცა ამ თემაზე „ვერსია“ ექსკლუზიურ მასალებს მოგვიანებით მოგაწვდით, მანამდე კი სოციალურ ქსელებსა თუ პრესაში, წავკისში გასხვისებული მიწების თემაზე ბრალდებები არ წყდება — მთავარი მოქმედი პირები პარლამენტარი თემურ ფეიქრიშვილი და მერაბიშვილის შსს-ს მაღალჩინოსანი ვაჟა ლელუაშვილია, რომელთაც ამ გზით დიდი ფულის შოვნაში ამხელენ.

„ვერსიას“ ხელში ჩაუვარდა სია, რომელსაც კომენტარების გარეშე გთავაზობთ და რომლითაც, იმედია, სამართალდამცავები დაინტერესდებიან, რადგან ეს ის ხალხია, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდა დაუოკებელი სურვილი, შინდისში, ტაბახმელაში, კოჯორში, წავკისსა და კიკეთში კუთვნილი მიწები სახელმწიფოსთვის ეჩუქებინა. „ვერსია“ აგრძელებს ამ თემაზე მუშაობას.

№	საკადასტრო კოდი	მესაკუთრე	ფართობი (კვ.მ)
1	81.02.05.457	ბეჟიაშვილი თამაზი	10 000
	81.02.05.528		31 001
2	81.02.97.352	შინდელიშვილი გიორგი	1 500
	81.02.05.526		2 300
			44 801

№	საკადასტრო კოდი	მესაკუთრე	ფართობი (კვ.მ)
1	81.01.97.377	აბუაშვილი ინგა	1 001
2	81.01.97.378	აბუაშვილი ინგა	1 600
3	81.01.08.342	ავაზაშვილი შოთა	1 001
4	81.01.08.377	ალექსანიანი იოსებ	1 500
5	81.01.05.410	ამაზაშვილი ემზარ	601
6	81.01.97.374	ამაზაშვილი ვასილ	1 501
	81.01.03.421		1 501
	81.01.03.423		1 500
	81.01.03.422		1 402
	81.01.98.830		18 200
	81.01.98.831		19 000
7	81.01.97.373	ამაზაშვილი თამარ	2 002
8	81.01.97.379	ამაზაშვილი ნუგზარი	2 002
9	81.01.05.394	ამაზაშვილი შოთა	2 000
10	81.01.08.420	ასიტაშვილი მაყვალა	1 501
11	81.01.05.398	ბარამაშვილი თამარი	1 001
12	81.01.08.361	ბერიაშვილი ნატალია	1 500
13	81.01.06.325	ბერუაშვილი მაია	2 501
14	81.01.08.366	ბუიძე ვახტანგ	1 500
15	81.01.08.369	ბუიძე თეონა	1 500
16	81.01.03.425	გაბაძე ივანე	1 900
17	81.01.06.304	გაგნიძე იაგო	2 300
18	81.01.04.311	გათენაშვილი ნანული	1 000
19	81.01.08.373	გაჩეჩილაძე გიორგი	1 500
20	81.01.03.429	გვარაშვილი სოლომონ	1 900
21	81.01.08.375	გოგიაშვილი მანანა	1 501
22	81.01.08.371	გუმბერიძე გიორგი	1 500
23	81.01.04.313	გუჯეჯიანი ჟუჟუნა	601
24	81.01.06.351	დევრისაშვილი გოჩა	2 501
25	81.01.98.832	დოჩანაშვილი ქეთევან	600
26	81.01.08.344	ვასაძე ნათელა	1 000
27	81.01.04.296	ზარდიაშვილი ნინო	2 100
28	81.01.08.368	ზაუტაშვილი მიხეილ	1 500
29	81.01.08.424	თეზელაშვილი კახა	1 501
30	81.01.04.295	თუსიშვილი მზია	1 000
31	81.01.05.364	კეთილაძე ვლადიმერ	1 001
32	81.01.11.001	კეკელიშვილი გოჩა	1 500
33	81.01.08.374	კუპრაში ვალენტინა	1 500
34	81.01.03.368	ლაგვილავა ნინო	1 100
35	81.01.03.367	ლოლიშვილი სულიკო	300
	81.01.04.316		1 000
36	81.01.06.346	მაკარაშვილი გენადი	1 200
37	81.01.06.352	მამულაშვილი მამუკა	2 500
38	81.01.08.365	მარტაშვილი ივანე	1 500
39	81.01.08.370	მელიქიძე გიორგი	1 500
40	81.01.05.422	მენთეშაშვილი ვაჟა	2 300
41	81.01.04.312	მინდაძე ცისანა	1 000
42	81.01.06.354	მღებრიშვილი ავთანდილ	800
43	81.01.06.355	მღებრიშვილი ომარ	801
44	81.01.08.423	მძელური გია	1 501
45	81.01.05.405	ნიაზაშვილი ბაბალე	935
46	81.01.03.424	ნიაზაშვილი ვართანუზ	1 900
47	81.01.04.287	პაპაშვილი ლალი	1 500
48	81.01.08.367	პაპუაშვილი ეთერ	1 500
49	81.01.06.329	რიკოვა მაია	2 501
50	81.01.04.297	სერესაშვილი ზურაბ	1 500
51	81.01.03.428	უმუდუმოვი ალექსანდრე	2 400
52	81.01.08.372	ფერაძე ზურაბ	1 500
53	81.01.04.299	ქეთევან გაგნიძე	1 500
54	81.01.04.285	ღლონტი ასმათ	1 500
55	81.01.06.330	შარაშიძე გიორგი	2 501
56	81.01.06.327	შარაშიძე ეთერ	3 000
57	81.01.06.326	შარაშიძე მაია	3 001
58	81.01.08.363	შაქარაშვილი ნათელა	1 500
59	81.01.08.364	ჩხიტუნიძე მერაბ	1 500
60	81.01.08.419	წენგუაშვილი გიორგი	1 501
61	81.01.05.397	წერეთელი ხათუნა	2 001
62	81.01.06.349	წიკალური ნინო	2 500
63	81.01.06.341	წიქარიძე არტემი	1 000
64	81.01.06.328	ჭინჭარაული გიორგი	2 500
65	81.01.06.350	ჭოტაშვილი დოდო	2 500
66	81.01.07.350	ხომერიკი ცისანა	600
			147 061

№	საკადასტრო კოდი	მესაკუთრე	ფართობი (კვ.მ)
1	81.02.02.351	გობეჯიშვილი გრიგოლი	1 200
2	81.02.13.688	კანთელაძე როლანდი	800
3	81.02.13.444	რონიაშვილი არჩილ	1 000
4	81.02.01.336	ფეიქრიშვილი ნოდარი	45 000
5	81.02.13.614	შინდელიშვილი გიორგი	5 009
	81.02.13.612		1 780
	81.02.94.258		3 200
6	81.02.13.445	ჯიქურაშვილი მარინე	1 100
			59 089

№	საკადასტრო კოდი	მესაკუთრე	ფართობი (კვ.მ)
1	81.02.11.421	ასლამაზოვი ივანე	1 500
2	81.02.11.391	ასლანიშვილი ბადრი	1 500
3	81.02.11.360	ასრინიანი ნანა	1 500
4	81.02.11.397	აფციაური დარეჯან	1 500
5	81.02.11.426	ბაისონაშვილი რამაზ	1 200
6	81.02.11.422	ბახტაძე ლამარა	1 500
7	81.02.11.414	ბედიანაშვილი ნათელა	1 500
8	81.02.11.373	ბენდიაშვილი ოფელია	1 500
9	81.02.11.398	ბრეგვაძე მამუკა	1 500
10	81.02.11.382	გოგინაშვილი თამაზ	1 500
	81.02.11.420		1 500
	81.02.11.366		1 200
	81.02.11.384		1 500
	81.02.11.381		1 500
	81.02.11.380		1 500
	81.02.11.396		1 500
11	81.02.11.418	გორდეზიანი გოდერძი	1 500
12	81.02.11.375	გურგენიძე თემურ	1 500
13	81.02.11.424	დვალიშვილი გერისო	1 500
14	81.02.11.372	დირბოევი თეიმურაზ	900
15	81.02.11.388	ერგემლიძე კარლო	1 500
16	81.02.11.370	ვაჩირიძე ანა	900
17	81.02.11.419	ზაქარიაშვილი ბელა	1 500
18	81.02.11.356	თამაზაშვილი თამარ	1 500
19	81.02.11.371	კეკელიშვილი ზურაბ	900
20	81.02.11.376	კვირიკაძე ლელა	1500
21	81.02.11.408	კირვალიძე თამარ	1 500
22	81.02.11.368	ლომთათიძე ალექსანდრე	1 500
23	81.02.11.362	მამაიაშვილი თეიმურაზ	1 200
24	81.02.11.423	მამისაშვილი ნინო	1 500
25	81.02.11.389	მატიაშვილი იოსებ	1 500
26	81.02.11.406	მაჭავარიანი ლიანა	1 500
27	81.02.11.402	მელქუაშვილი ნიკოლოზ	1 500
28	81.02.11.409	მენთეშაშვილი	1 500
29	81.02.11.359	მინდიაშვილი კობა	1 500
30	81.02.11.355	მჭედლიშვილი გიორგი	1 500
31	81.02.11.379	ნატროშვილი ბორის	1 500
32	81.02.11.373	ნინოშვილი ჯემალ	1 500
33	81.02.11.358	ოსაძე კარლო	1 500
34	81.02.11.425	პაპელაშვილი მიხეილ	1 500
35	81.02.11.374	პაქსაშვილი ცისანა	1 500
36	81.02.11.415	საკანდელიძე თორნიკე	1 500
37	81.02.11.378	საცერაძე დიმიტრი	1 500
38	81.02.11.399	სტეფანიშვილი გელა	1 500
39	81.02.11.413	ფუხაშვილი მაყვალა	1 500
40	81.02.11.412	ქემაშვილი გელა	1 500
41	81.02.11.411	ქემაშვილი ოთარ	1 500
42	81.02.11.386	ქემაშვილი როლანდ	1 500
43	81.02.11.395	ღავლაშვილი გივი	1 500
44	81.02.11.404	ღვინიაშვილი თამარ	1 500
45	81.02.11.365	ყეინაშვილი ვასილ	900
46	81.02.11.416	ყორანაშვილი მაია	1 500
47	81.02.11.357	ყუბანეიშვილი ამირან	1 500
48	81.02.11.385	შავიძე მირზა	1 500
49	81.02.11.377	შალამბერიძე ელგუჯა	1 200
50	81.02.11.367	შენგელია მირიან	1 500
51	81.02.11.346	შინდელაშვილი გიორგი	1 200
	81.02.11.533		2 012
52	81.02.11.394	ჩუხუა მერაბ	1 500
53	81.02.11.417	ციციშვილი მანანა	1 500
54	81.02.11.361	ძულიაშვილი თამარ	1 500
55	81.02.11.364	წითლიძე ციალა	1 200
56	81.02.11.363	წილოსანი ნანული	1 200
57	81.02.11.393	ჭელიძე ქეთევან	1 500
58	81.02.11.401	ჭყოიძე გურამ	1 500
59	81.02.11.369	ჭყონია დავით	1 200
60	81.02.11.403	ხუციშვილი ნინელი	1 500
			96 212

დასასრული მე-6 გვერდზე

მე-5 გვერდიდან

№	საკადასტრო კოდი	მესაკუთრე	ფართობი (კვ.მ)
1	81.01.01.380	ალთუნაშვილი ანა	2 501
2	81.01.01.378	ალთუნაშვილი ელგუჯა	2 500
	81.01.02.333		2 500
3	81.01.01.336	ალთუნაშვილი როლანდი	2 000
4	81.01.01.413	ამაზაშვილი ნინა	2 500
5	81.01.02.315	ამროსოვი ლევანი	1 000
6	81.01.01.421	აფციაური ვარდო	2 500
7	81.01.01.412	აფციაური მარიამი	2 500
8	81.01.03.284	ბახუტაშვილი გიორგი	2 501
9	81.01.03.282	ბედოშვილი ეთერი	2 010
10	81.01.01.320	ბურდიაშვილი ია	2 000
11	81.01.02.318	ბუხნიკაშვილი ირინე	1 000
12	81.01.01.327	გაგნიძე აბესალომი	1 000
13	81.01.01.400	გათენაშვილი ავთანდილი	1 001
14	81.01.01.333	გათენაშვილი ალექსი	1 000
15	81.01.03.293	გათენაშვილი ზვიადი	2 501
16	81.01.03.315	გათენაშვილი მაია	1 501
17	81.01.03.294	გათენაშვილი მალხაზი	2 501
18	81.01.01.381	გათენაშვილი მიხეილი	2 501
19	81.01.03.295	გათენაშვილი ნიკოლოზი	1 500
20	81.01.01.466	გველესიანი ლევანი	600
21	81.01.02.364	გოგიაშვილი ნათელა	1 001
22	81.01.01.375	გოგშელიძე ბადრი	2 500
23	81.01.01.377	გოგშელიძე გიორგი	2 501
24	81.01.01.386	გოგშელიძე ტატიანა	2 500
25	81.01.01.379	გოგშელიძე ხვიჩა	2 501
26	81.01.01.382	გოცირიძე ზურაბი	2 501
27	81.01.01.376	გოცირიძე მიხეილი	2 501
28	81.01.03.316	გურული მარინე	2 501
29	81.01.01.467	დარახველიძე ირაკლი	699
30	81.01.01.468	დარახველიძე ირაკლი	60
31	81.01.01.325	დვალი მანანა	1 000
32	81.01.02.336	ვახანია მაკა	1 500
33	81.01.02.349	ზარდიაშვილი მანანა	2 500
34	81.01.01.357	თათულაშვილი ვალერიან	1 000
35	81.01.01.358	თათულაშვილი ვალერიან	1 000
36	81.01.01.399	კარგარეთელი ვახტანგი	500
37	81.01.01.330	კვერცხიშვილი თამილა	1 000
39	81.01.03.317	კვესელაძე რაჟდენი	2 500
39	81.01.01.384	მიროტაძე გიორგი	2 501
40	81.01.01.411	ნაწილაშვილი როლანდი	1 000
41	81.01.01.465	ნიაზაშვილი მიხეილი	2 000
42	81.01.02.366	ნიკოლაიშვილი მზია	1 000
43	81.01.01.332	ოქრუაშვილი გიორგი	1 000
44	81.01.01.321	სირაძე ქეთევანი	1 500
45	81.01.01.328	სიხარულიძე ინგა	1 501
46	81.01.01.424	ფედოროვი დავითი	1 500
47	81.01.01.387	ქალებაშვილი თენგიზი	2 501
48	81.01.03.314	ქალებაშვილი ნინო	2 501
49	81.01.01.323	ქებულაძე ზურაბი	1 700
50	81.01.01.385	ყავილაძე ალავერდი	2 500
51	81.01.02.324	შპს "სპან ქეფითალ"	2 000
52	81.01.01.425	ჩივაძე გულიჯანი	1 500
53	81.01.01.356	ჩოხელი მარინე	1 000
54	81.01.01.331	ჩხაიძე ბადრი	1 000
55	81.01.01.315	ჩხაიძე ირაკლი	1 900
56	81.01.01.373	ჩხეიძე თამაზი	1 001
57	81.01.01.324	წიკლაური ბესიკი	1 500
58	81.01.01.405	წიკლაური ეკატერინე	1 501
59	81.01.01.383	წიკლაური მანანა	2 500
60	81.01.01.322	წიკლაური მარინე	1 000
61	81.01.01.329	წიკლაური ნინა	1 501
62	81.01.01.388	წიკლაური ნუგზარი	2 500
63	81.01.01.372	ჭელიძე მარინე	1 000
64	81.01.02.316	ხარებაშვილი გიორგი	2 000
65	81.01.01.326	ხვედელიანი ცისანა	1 001
66	81.01.01.417	ხოლიდი თეა	684
67	81.01.01.426	ხუციშვილი ნიკოლოზი	600
	81.01.01.360		2 000
			117 274

რა უნდა იცოდეს მომხმარებელმა ინტერნეტკრედიტის აღების დროს?

რა საფრთხეს წარმოადგენს სწრაფად, მარტივად და სახლიდან გაუსვლელად აღებული სესხები?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სულ რაღაც 15 წუთში, ყველას შეუძლია სწრაფად, სახლიდან გაუსვლელად მიიღოს სასურველი თანხა. „ბიზნესის ინფორმაციის ცენტრის“ მკვლევარებმა — ზურა გურგენიშვილმა და პაატა ბლიაძემ ჩაატარეს კვლევა და ინტერნეტკრედიტების ბაზარი შეისწავლეს. კვლევის თანახმად, ბოლო დროს ქართულ ბაზარზე ინტერნეტკრედიტის ბევრი საიტი გამოჩნდა. ისინი მომხმარებლებს სახლიდან გაუსვლელად სთავაზობენ სწრაფ კრედიტს, რაც რეკლამირდება, როგორც დაბალპროცენტიანი და მარტივად ასაღები სესხი. რა უნდა იცოდეს მომხმარებელმა სესხის აღების პირობებისა და დაფარვის შესახებ? რამ გამოიწვია ინტერნეტკრედიტის სწრაფი პოპულარობა? რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ იმისთვის, რომ სესხის აღების შესახებ მომხმარებელი ინფორმირებული იყოს? ეს არის კითხვები, რომლებსაც ზურა გურგენიშვილისა და პაატა ბლიაძის კვლევა — „ინტერნეტკრედიტი — მარტივი გადაწყვეტილება, თუ თვითმკვლელობა“ — ეხება.

სწრაფი და მარტივი სესხი სახლიდან გაუსვლელად მართლაც დიდი ცდუნებაა ნებისმიერი მომხმარებლისთვის. „ბიზნესის ინფორმაციის ცენტრის“ მკვლევარების ინფორმაციით, ინტერნეტსესხები საქართველოში ახალი პროდუქტია და მომხმარებელმა იმ სერიოზული რისკების შესახებ არაფერი იცის, რაც შესაძლოა, ამ ტიპის სესხით სარგებლობას მოჰყვეს. ბიზნესის სპეციფიკიდან და იმ პროპორციიდან გამომდინარე, რის მიხედვითაც ასეთი სესხები მტკიცდება, სავარაუდოდ, მათი საპროცენტო განაკვეთი ძალიან მაღალია, რადგან ფინანსისტების გაანგარიშებით, ის შესაძლოა, 800%-მდეც კი გაიზარდოს.

რატომ მომრავლდა ასეთი ტიპის საიტები ქართულ ბაზარზე? მკვლევარების ინფორმაციით, ბაზარზე ახალი პროდუქტის ან მომსახურების გამოჩენა პირდაპირ გულისხმობს იმას, რომ ამ პროდუქტსა თუ მომსახურებაზე მოთხოვნა არსებობს, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, თუ ეს პროდუქტი ნაღდი ფულია. ამ მარტივი ლოგიკით ხსნიან ზურა გურგენიშვილი და პაატა ბლიაძე ინტერნეტკრედიტის საიტების მომრავლებასა და მათ დიდ პოპულარობას ქართულ ბაზარზე, თუმცა ფინანსისტები ამ ტენდენციას შემდეგნაირად აფასებენ:

„არც ისე დიდი ხნის წინ, ძალაში შევიდა ახალი რეგულაცია, რომელიც კერძო მევახშეებს შეზღუდვებს უწესებს. ცვლილების თანახმად, საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი 40%-ზე მაღალი არ უნდა იყოს, მაგრამ ეს რეგულაცია ინტერნეტკრედიტებს არ ეხება. ასეთი საიტების მომრავლების მთავარი მიზეზი სწორედ ეს არის. კერძო მევახშეების მაღალპროცენტიანმა სესხებმა ახლა უკვე ინტერნეტსივრცეში გადაინაცვლა. აქედან გამომდინარე, ამ რეგულაციის შემოღებამ მევახშეთა ძალაუფლება კი შეზღუდა, მაგრამ შედეგი იგივე გვაქვს, რადგან არსებობს რეალური საფრთხე, მომხმარებელი შეცდომაში შევიდეს და მისთვის წამგებიანი მომსახურება მიიღოს“.

რა რისკებთანაა დაკავშირებული ინტერნეტკრედიტით სარგებლობა? საქართველოს კანონმდებლობით, ნებისმიერი სესხის აღსრულება უძრავი ქონების გარანტიით ხდება იმის მიუხედავად, არის თუ არა ეს ქონება გირავნობით დატვირთული. დღეს ყველას შეუძლია, მარტივად და სწრაფად აიღოს სესხი, მაგრამ გადაუხდელობის შემთხვევაში, შესაძლოა, აღსრულებაში წავიდეს ამ პირზე არსებული ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ქონება. შეიძლება, ამჟამად ადამიანს არანაირი შემოსავალი არ ჰქონდეს და მომავალში მოძებნოს მაღალშემოსავლიანი სამსახური, მაგრამ, თუ პირადობის მოწმობაზე კერძო აღმასრულებელს აღსრულების ყადაღა ექნება დადებული, ოფიციალური ხელფასი მფლობელამდე ვერ მიაღწევს. ამ რისკებს ის ფაქტიც ზრდის, რომ მომხმარებელმა სესხის გაცემისა და დაფარვის პირობების შესახებ არაფერი იცის.

„ბიზნესის ინფორმაციის ცენტრის“ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ინტერნეტკრედიტების გამცემი ორგანიზაციები არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს ქმნიან. ზურა გურგენიშვილისა და პაატა ბლიაძის კვლევის თანახმად, ამ ტიპის ინტერნეტსაიტები ხელს უშლის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მუშაობას, რომლებიც სესხის გაცემისა და დაფარვის პირობების შესახებ, მომხმარებლებს სწორ და ამომწურავ ინფორმაციას აწვდიან. დიდი რისკის მიუხედავად, მომხმარებლებს ურჩევნიათ, ნებისმიერი ტიპის სამომხმარებლო სესხი სახლიდან გაუსვლელად, სწრაფად მიიღონ და ცხადია, ინტერნეტსაიტებს მიმართავენ, რაც მათ პოპულარობას უწყობს ხელს.

რა უნდა იცოდეს მომხმარებელმა ინტერნეტსესხის აღების დროს? როგორ დაიცვას თავი რისკისგან და რამდენად საშიშია ინტერნეტკრედიტი საქართველოს ბაზარზე? „ვერსიას“ „საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაციის“ გამგეობის თავმჯდომარე **არჩილ ბაკურაძე** ესაუბრება:

— ბატონო არჩილ, რამდენად საშიშია ინტერნეტკრედიტით სარგებლობა დღეს?

— ზოგადად, მოქალაქე, თუ ინფორმირებული არ არის და არ იცის სავარაუდო გარიგების შედეგები, ნებისმიერი ფინანსური გარიგების დროს შეიძლება წაწყდეს საფრთხეს. იმის გათვალისწინებით, რომ თქვენს მიერ დასახელებულ პროდუქტში სუსტია ინფორმირების დონე, ანუ რეკლამების მიხედვით, მომხმარებელი ნაკლებად ინფორმირებულია, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებსით თუ უნებლიედ შეცდომაში შეყვანის ალბათობა გაცილებით მაღალია. შესაბამისად, ინტერნეტკრედიტთან დაკავშირებით, მომხმარებელს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი სესხები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და ამ ნაწილში მკვლევარებს ვერ დავეთანხმები.

— მთავრობის განკარგულებით, 40%-იანი საპროცენტო განაკვეთი დადგინდა...

— დიახ, აქ საუბარია კერძო კრედიტორებსა და სხვა არალიცენზირებულ დამფინანსებლებზე. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სერტიფიცირებული, ფორმალური ფინანსური სტრუქტურებია, რომლებისთვისაც ასეთი ზღვარი დადგენილი არ არის. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს და აქედან გამომდინარე, ეს ზღვარი მხოლოდ იმ სტრუქტურებისთვის დაწესდა, რომლებიც რეგულირების მიღმა დარჩნენ. რამდენად ეფექტური და ქმედითია ეს ცვლილება, ან რამდენად დაიცავს მომხმარებელს მტაცებლური დაკრეტიდების პრაქტიკისგან, ამას უკვე დრო გვიჩვენებს.

— იქიდან გამომდინარე, რომ ეს ცვლილება ინტერნეტკრედიტების გამცემ სტრუქტურებზე არ ვრცელდება, წლიური გაანგარიშების მიხედვით, მათ მიერ სწრაფად და მარტივად გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, არ ფიქრობთ, რომ ეს სერიოზული საფრთხეა მომხმარებლისთვის?

— მთელ მსოფლიოში, როგორც წესი, ასეთი ტიპის მცირე სესხები მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ხასიათდება და ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. ინტერნეტსესხების აღების ხელმისაწვდომობა, დროის მოკლე შუალედი და სიმარტივე განაპირობებს იმას, რომ საპროცენტო განაკვეთი მაღალი უნდა იყოს. იმის გამო, რომ ეს საკმაოდ მცირე თანხაა, ადმინისტრაციული ხარჯი მეტია, ამიტომ დამფინანსებლების არგუმენტიც ესაა, მათ სწორედ ასე უღირთ. შესაბამისად, განაკვეთი, რომელიც ვიღაცას ძალიან მაღალი ჰგონია, მეორე მხრივ, სავსებით რეალურია. სხვა საკითხია, ირღვევა თუ არა კანონი ასეთი სესხითა და ხელშეკრულებით, თუ ინტერნეტსესხი კანონთან შეუსაბამობაშია ანუ ზედა ზღვარი გაცილებით მეტია, მაშინ ნამდვილად ღირს ამ ბაზრის შესწავლა და მოქალაქეებმაც სამართლებრივი დავები უნდა წამოიწყონ, თუმცა არ მგონია, ეს საკრედიტო ორგანიზაციები ასეთი რისკის ქვეშ მუშაობდნენ, რადგან, როგორც ვიცი, კარგი იურისტები ჰყავთ და ეჭვი მეპარება, კანონს არღვევდნენ.

— როდესაც ინტერნეტის საშუალებით, სახლიდან გაუსვლელად, მომხმარებელი მცირე სესხს იღებს, რა უნდა იცოდეს ან თავი როგორ დაიცვას?

— აუცილებლად უნდა მიმართოს ისეთ საფინანსო ორგანიზაციას, სადაც მისი უფლებები დაცული იქნება და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სწორედ ასეთი საფინანსო სტრუქტურებია. ცოტა ხნის წინ ეთიკის კოდექსიც მივიღეთ, სადაც ყველა ეს თემა დეტალურადაა განხილული. ჩვენი ასოციაციის წევრებს მოვუწოდებთ და ვთხოვთ, ეს კოდექსი დაიცვან, მათ შორის, გამჭვირვალობის ნაწილში, რაც სწორედ სესხის საპროცენტო განაკვეთს ეხება. აქედან გამომდინარე, მომხმარებელმა უნდა მიმართოს სანდო და კეთილსინდისიერ კრედიტორს, მაგრამ, რაც მთავარია, კარგად უნდა გაერკვნენ ვითარებაში და დარწმუნდნენ, რომ ნებისმიერი ტიპის კრედიტის აღებისას, შესწევთ უნარი, სესხი ბოლომდე დაფარონ. ეს ნიშნავს, რომ სწორად უნდა მიუდგნენ ფინანსურ საკითხებს, რათა ზედმეტად არ გარისკონ.

სტრატეგია „ანაკონდა“ მოქმედებაშია, ანუ რუსეთის იმპერიის დასასრული

დავით კუჯრეიშვილი
იურისტი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელი გახდა ალენ დალესი, რომლის მეთაურობით შემუშავებულ იქნა სსრ კავშირის დაშლის გეგმა სახელწოდებით — „ანაკონდა“. სტრატეგიის ძირითადი არსი ის იყო, რომ სსრ კავშირი, როგორც სახელმწიფო, უნდა გამქრალიყო არა ომის, არამედ თანდათან, სსრ კავშირის სრულ იზოლაციაში მოქცევისა და ეკონომიკური კრიზისის გამწვავების გზით. სწორედ ეს იყო სტრატეგია „ანაკონდას“ მოქმედების გამოხატულება და სწორედ ამან გამოიწვია 1989-90 წლებში ჯერ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კომუნისტური რეჟიმების დამხობა, ხოლო 1991 წლის დეკემბერში თავად სსრ კავშირის გაქრობა. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო სტრატეგია „ანაკონდას“ გეგმის მეორე ნაწილის განხორციელება — რუსეთის იმპერიის დაშლა.

რუსეთის იმპერიის კრახის პირველი ნიშნები უკვე 1995 წლის ბოლოსა და 1996 წლის დასაწყისში გამოჩნდა. 1996 წლის მაისში დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში ბორის ელცინი უცილობლად წააგებდა კომუნისტების ლიდერ გენადი ზიუგანოვთან, რომ არა აშშ-ს მიერ გადმოგდებული მაშველი რგოლი — აშშ-მ ბორის ელცინს, კრედიტის სახით, 100 მილიონი დოლარი მისცა, რომელიც ამ უკანასკნელმა, 1996 წლის აპრილში დაარიგა ხელფასების სახით და ჩააქრო მღელვარება, რითაც მოიგო კიდეც საპრეზიდენტო არჩევნები. პარალელურად, აშშ-ს ხელისუფლებამ იმავე პერიოდში 100-100 მილიონი დოლარი მისცა სვერდლოვსკის ოლქის გუბერნატორ ედ. როსელსა და სარატოვის ოლქის გუბერნატორ აიაცკოვს. ამით დაიწყო რუსეთის სახელმწიფოს სხეულში ნელი მოქმედების ნაღმების ჩადება, რომელთაგან ერთ-ერთმა იმავე 1996 წლის სექტემბერში იფეთქა. კერძოდ, სვერდლოვსკის ოლქის გუბერნატორმა ედ. როსელმა თავის ოლქში მიმოქცევისთვის დაბეჭდა საკუთარი ფული — „ურალსკიე ფრანკი“. ამასთანავე, დაიწყო საუბარი ურალის დამოუკიდებელი რესპუბლიკის ჩამოყალიბებაზე. ამგვარად, რუსეთის რღვევა ჯერ კიდევ 1996 წელს დაიწყო შიგ შუაგული რუსეთიდან — ურალიდან, მაგრამ იმ დროისთვის ეს ჯერ ნაადრევი იყო.

მორიგი ქარიშხალი რუსეთს 1998 წლის აგვისტოში დაატყდა, როდესაც ე.წ. შავ სამშაბათს რუსული რუბლი, ფაქტობრივად, ჩამოიშალა. კვლავ დაიწყო ფასებისა და უმუშევრობის ზრდა, მასობრივი მღელვარება. ბორის ელცინის მიერ ხელდასხმულმა ვლადიმერ პუტინმა გაპრეზიდენტებისთანავე შემოიკრიბა „კაგებეშნიკი“ ამხანაგები და გაგრძელდა რუსეთის სახელმწიფოს ძარცვა-გლეჯა უფრო გიგანტური მასშტაბებით. რუსეთის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 700 მილიარდ დოლარს აღწევს, საიდანაც 25% ყოველწლიურად საზღვარგარეთის, პირველ რიგში, აშშ-ს, ევროპის ქვეყნებისა და ოფშორული ზონების ბანკებში ილექება რუსი ოლიგარქ-ჩინოვნიკების ანგარიშებზე. რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკური ძარცვის მაგალითების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, მხოლოდ ერთ, ყველაზე თვალსაჩინოზე შევჩერდები — სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშები. თავდაპირველად, სოჭის ოლიმპიური სოფლის ასაშენებლად ხარჯთაღრიცხვა შეადგენდა 12 მილიარდ დოლარს, რომელიც ძალიან მალე გაორმაგდა და 24 მილიარდი გახდა, საბოლოოდ კი ოლიმპიური სოფლის მშენებლობა 52 მილიარდ დოლარზე მეტი დაჯდა. ეს თანხა გაცილებით მეტია, ვიდრე ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ოლიმპიური სოფლების ასაშენებლად რაც თანხები დახარჯულა, ერთად შეკრებილი. რით არა ჰგავს ეს ფაქტი კომუნისტების მიერ ბამის უაზრო მშენებლობას? ასეთი ფაქტი ათასობითაა.

2008 წლის გაზაფხულზე, რუსეთის პოლიტიკურ წრეებში დაიწყო საუბარი რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე. რუსული ჟურნალის „ნიუ თაიმსის“ რედაქტორმა ე. ალბაცმა ჩაატარა გამოკითხვა ყველა ცნობილ რუს პოლიტიკოსსა და პოლიტოლოგს შორის და ყველამ ერთხმად განაცხადა — რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა, პირველ რიგში, რუსეთს დაღუპავსო. რა თქმა უნდა, ამის შესახებ კარგად უწყოდნენ რუსეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა და პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმერ პუტინმა. მიუხედავად ამისა, მედვედევმა და პუტინმა 2008 წლის 25 აგვისტოს მაინც სცნეს საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა. ზუსტად 3 დღის შემდეგ, 28 აგვისტოს, დამოუკიდებლობა მოითხოვა თათრეთმა, რომლის პრეზიდენტმა მ. შაიმიევმა მხოლოდ მას შემდეგ თქვა უარი დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე, რაც ყაზანში ჩავიდა აშშ-ს მაშინდელი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი და მასთან მოლაპარაკებები გამართა.

2014 წლის 16 მარტის ყირიმის რეფერენდუმის მხარდაჭერით. ვლადიმერ პუტინმა საბოლოოდ დაასამარა რუსეთის ერთიანი სახელმწიფო. რუსი შოვინისტების სიშლეგე იქამდე მივიდა, რომ არა მხოლოდ ყირიმი მიიტაცეს, არამედ სევასტოპოლსაც მისცეს რაღაც „განსაკუთრებული სტატუსი“ და შეიძლება, დონეცკსა და ხარკოვსაც წაეპოტინონ. ალბათ ყველას აინტერესებს, თუ რა მოჰყვება რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიების მიტაცების ამ მცდელობას. დავიწყოთ ეკონომიკური კატასტროფით, რაც რუსეთს ელის:

1. პირდაპირი ზარალი, რასაც რუსეთის ბიუჯეტი ყოველწლიურად მიიღებს, ესაა 200 მილიარდი დოლარი, ეს მაშინ, როდესაც რუსეთის ბიუჯეტის შემოსავალი სულ 700 მილიარდი დოლარია, ხოლო სარეზერვო ფონდი 500 მილიარდი, მთლიანი შიდაპროდუქტი კი 2 ტრილიონი დოლარი (შედარებისთვის, აშშ-ს მთლიანი შიდაპროდუქტი 17 ტრილიონი დოლარია);

2. ყირიმის მიერთება რუსეთისთვის იგივეა, კაცი რომ წყალში იხრჩობოდეს და მაშველი რგოლის ნაცვლად, წისქვილის ქვა გადაუგდო. ყირიმის შესანახად რუსეთს გაუჩნდება მორიგი შავი ხვრელი, სადაც მრავალი მილიარდი დოლარი ჩაიკარგება. მაგალითისთვის საკმარისია რამზან კადიროვის რეჟიმიც, რომლის შენახვა რუსეთის ბიუჯეტს ყოველწლიურად 5 მილიარდი დოლარი უჯდება და, ძირითადად, კადიროვის ფუფუნების საგნებზე იხარჯება;

3. ყირიმის გამო რუსეთის სახელმწიფოს ყოველწლიურ პირდაპირ ზარალზე — 200 მილიარდ დოლარზე (ბიუჯეტის შემოსავლების 34%) უკვე მოგახსენეთ. ახლა ვისაუბროთ არაპირდაპირ, მაგრამ რუსეთისთვის უფრო გამანადგურებელ ზარალზე, კერძოდ:

ა) დაიწყო რუსული რუბლის დევალვაცია, რამაც 20%-ს უკვე გადააჭარბა;

ბ) რუსეთში მოღვაწე უცხოელი ინვესტორები სასწრაფოდ აიკრეფენ გუდა-ნაბადს და დახურავენ საწარმოებს;

გ) რუსეთში აღარ შემოვა უცხოური ინვესტიციები და მოწინავე ტექნოლოგიები, რომლებზეც დიდადაა დამოკიდებული რუსეთის ეკონომიკა (მაგალითად, რუსეთის საკვები პროდუქტის ბაზრის 30% იმპორტს უკავია, ხოლო სხვა დანარჩენ, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო პროდუქციას — რუსეთის ბაზრის 55-დან 80%-მდე), თვით სამხედრო მრეწველობაც კი.

დ) რუსეთიდან ყოველწლიურად გაედინება კაპიტალი, რომელიც მისი ბიუჯეტის 25%-ს შეადგენს და იგი თითქმის 175 მილიარდ დოლარს უტოლდება, ამ წლის დასაწყისიდან, პირველ ორ თვეში, უკვე 35 მილიარდი დოლარი გაედინა რუსეთიდან და ეს იმ პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა ნამდვილი ეკონომიკური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ.

ე) რუსეთის მოსახლეობამ დაიწყო ბანკებიდან რუსული რუბლის გამოტანა, უცხოური ვალუტის შესყიდვა და საზღვარგარეთ გატანა, რაც ბანკებს იძულებულს გახდის, გაყიდონ თავისი აქტივები, შესაბამისად, დაეცემა ფასები ამ აქტივებზე. ძალიან მალე დაიწყება რუსული ბანკების გაკოტრებაც;

ვ) ყირიმის კრიზისის დაწყებიდან რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ რუბლის დევალვაციის შესაჩერებლად მხოლოდ ორ თვეში 17 მილიარდი დოლარი დაიხარჯა. მხოლოდ „გაზპრომის“ ზარალმა იანვარ-თებერვალში 12 მილიარდი ევრო შეადგინა. ყველა ამ დანაკარგმა, საფონდო ბირჟების ზარალთან ერთად, წლის დასაწყისიდან უკვე შეადგინა 100 მილიარდი დოლარი;

ზ) წლიდან წლამდე იზრდება საბიუჯეტო რესურსების ხარჯვა ისეთ უაზრო პროგრამებზე, როგორიცაა სამხედრო შეიარაღება. პუტინმა უკვე გამოიგონა სამხედრო ხარჯების გაათმაგების ახლი მიმართულება, ე.წ. ვ კ ო („ვოენნო კოსმიჩესკაია ობორონა“). როგორ ტყუპისცალივით ჰგავს ვ კ ო კომუნისტების ს ო ი-ს პროგრამას? მხოლოდ სახელია სხვა. როგორც 40 წლის წინ ჩაითრიეს ამერიკელებმა კომუნისტები „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამაში და სსრ კავშირის დაქცევის შემდეგ იგი არავის გახსენებია, ზუსტად ასევე აპირებს პუტინი სამხედრო კოსმოსური თავდაცვის პროგრამებში მილიარდების ჩაყრას და ამით რუსეთის ეკონომიკის დაქცევას;

თ) პუტინმა, ფაქტობრივად, ჩამოაფარა „რკინის ფარდა“ რუსეთს და გარიყა დანარჩენი მსოფლიოსგან. თუკი სსრ კავშირს აქა-იქ მაინც მოეძებნებოდა „დამონებული მეგობრები“, 21-ე საუკუნის რუსეთი გარშემორტყმულია მხოლოდ მტრებით და მთელი მსოფლიო ჩასაფრებულია რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრეების გასაყოფ-დასატაცებლად;

ი) რუსეთის ბიუჯეტი შემოსავლების 41%-ს (300 მილიარდამდე ევროს) იღებს ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობის გზით. ევროკავშირის მხრიდან სანქციების შემთხვევაში ყველაფერი ეს მირაჟი გახდება;

ყოველივე ამის შემდეგ ისმის კითხვა: რა პოლიტიკურ შედეგებს მოუტანს რუსეთს ყირიმის ავანტიურა? რუსეთის ფედერაციაში 26 ავტონომიური რესპუბლიკაა, რომლებშიც მოსახლეობის უმრავლესობა არარუსია. მაგალითად, თათრეთში, რომელმაც ჯერ კიდევ 2008 წელს მოითხოვა დამოუკიდებლობა, რუსები მოსახლეობის მხოლოდ 39%-ია, ჩრდილოეთ კავკასიაშიც რუსები აბსოლუტურ უმცირესობაში არიან. ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, ოფიციალური მონაცემებით, 2,5 მილიონი ჩინელი ცხოვრობს, არაოფიციალურად კი ორ-სამჯერ მეტი. ყირიმის ლოკალური რეფერენდუმი და სევასტოპოლის ტრაგიკომიკური „განსაკუთრებული სტატუსი“ უცილობლად მისცემს ბიძგს რუსეთის 60-მილიონიან არარუს მოსახლეობასა და მრავალმილიონიან ჩინელ მოსახლეობას დაიწყონ აქტიური ქმედებები დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. რით არ ჰგავს რუსეთის იმპერიის აღდგენის პუტინისეული ეს მცდელობა 1988 წელს გორბაჩოვისეულ მცდელობას მოდერნიზებული საბჭოთა იმპერიის შესაქმნელად ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების გზით?

ერთი ერთში ჯდება სტრატეგია „ანაკონდას“ გეგმა: როგორც ეკონომიკური კრიზისის პროვოცირებითა და სსრ კავშირში მოკავშირე რესპუბლიკების აფეთქებით დაინგრა „ბოროტების იმპერია“, ზუსტად ასევე, რუსეთში მზარდი ეკონომიკური კრიზისის პროვოცირებითა და ავტონომიური რესპუბლიკების შიგნიდან აფეთქებით დაინგრევა რუსეთის იმპერიაც. მართალი იყო დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი, როდესაც ამბობდა: **„უსამართლობაა, რომ ერთი სახელმწიფო ფლობს ამდენ ბუნებრივ სიმდიდრეს, როდესაც მსოფლიოში ასეთი კრიზისია“.** თავად რუსებიც აღიარებენ, რომ მთელი მსოფლიო ჩასაფრებულია მათი ბუნებრივი სიმდიდრეების მისატაცებლად და ეს სავსებით მოსალოდნელია, ვინაიდან ბუნებრივი სიმდიდრეების, სახნავ-სათესი მიწებისა და სასმელი წყლის ყველაზე დიდი მარაგი რუსეთშია. აშშ-ს პრეზიდენტის ჯიმი კარტერის ყოფილმა თანაშემწემ უსაფრთხოების საკითხებში და ცნობილმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ ჟურნალისტების შეკითხვაზე, როგორ შეაფასებთ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებსო, ხატოვნად უპასუხა: „ეს არის მსუბუქი საუზმე მსუყე სადილის წინ“. აშშ-მ უკვე დააწესა გარკვეული სანქციები რუსეთის ეკონომიკის საკვანძო სფეროების მიმართ ანუ რუსეთი უკვე გამზადებულია შესაჭმელად.

რუსეთისთვის ახალი უზარმაზარი თავსატეხის — ყირიმის გაჩენა და მის გამო მზარდი ეკონომიკური კრიზისი პირდაფჩენილს დატოვებს აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ლიდერებს, რადგანაც რუსეთს აღარაფერი ექნება მისაცემი ბიუჯეტზე ჩამოკიდებული ამ სეპარატისტული რეგიონებისთვის, რომელთა ლიდერები დროა, გონს მოეგონ, ახლავე გამოეცალონ დასაღუპად განწირულ რუსეთის იმპერიას და დაუბრუნდნენ დედასაქართველოს. საქართველოს ხელისუფლებამაც უფრო უნდა გააქტიუროს კავშირი ოსებსა და აფხაზებთან, აგრეთვე ჩვენს მოძმე ჩრდილოეთ კავკასიელებთან, რადგანაც რუსეთის იმპერიის დაშლას უცილობლად მოჰყვება კავკასიის კონფედერაციის შექმნა, რომლის ბუნებრივი და ისტორიული ცენტრი საუკუნეების განმავლობაში საქართველო იყო. ესეც სტრატეგია „ანაკონდას“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

დაბოლოს, უმწვავესი ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რუსეთის ჯერ ავტონომიურ რესპუბლიკებში, შემდეგ კი თვით რუს მოსახლეობაში დაწყებული მღელვარება ყოველმხრივ უნდა გააღვივოს დასავლეთმა, რასაც უცილობლად მოჰყვება სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აღლუმი რუსეთის 26 ავტონომიაში და რუსი შოვინისტები მიიღებენ იმას, რაც მიიღეს 1991 წლის დეკემბერში, რასაც ცნობილი რუსული ანდაზა ასე გადმოსცემს: „ზა ჩტო ბაროლის, ნა ტო ი ნაპაროლის“.

პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდია დააწესა

როგორც გიორგი მარგველაშვილი აცხადებს, სტიპენდია თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის წლის საუკეთესო სტუდენტს გადაეცემა.

„მივიღე გადაწყვეტილება, პირველი პრეზიდენტის ხსოვნის უკვდავსაყოფად დავაარსო ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდია, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სასწავლო წლის საუკეთესო სტუდენტს გადაეცემა. ამ ფაკულტეტზე სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ზვიად გამსახურდიამ თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები მიუძღვნა. მჯერა, რომ მისი მაგალითი, მისი ღვაწლის დაფასება, მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ჩვენი ახალგაზრდობისთვის, მათთვის, ვინც ხვალ უნდა იტვირთოს საქართველოში მეცნიერების, ქვეყნის განვითარების, დამოუკიდებლობის განმტკიცების პასუხისმგებლობა“, — ნათქვამია გიორგი მარგველაშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„პირველი“

კონსტანტინე, ცოტნე და გიორგი გამსახურდიებმა მამის საფლავთან ხელისუფლებისადმი მიმართვას ხელი მოაწერეს

კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, 2004 წლიდან ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, თუმცა რეალური გამოძიება არ ჩატარებულა.

„ჩვენ საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების სახელზე შევიტანთ განცხადებას, რათა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით აღძრული საქმე გაგრძელდეს და ერთხელ და სამუდამოდ, მივიდეს ლოგიკურ დასასრულამდე. ამ მიზნით, შევიმუშავეთ ტექსტი, რომელსაც ხელი მოვაწერეთ და ეს გადაგზავნილი იქნება პრეზიდენტთან, პრემიერთან, სახალხო დამცველთან, მთავარ პროკურორსა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან. 2004 წლის თებერვლიდან აღნიშნულთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, თუმცა დღემდე რეალური გამოძიება არ ჩატარებულა, 2010 წელს პარლამენტის დროებითი კომისიის მიერ ჩატარებული გამოძიების გარდა“, — განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ.

ცოტნე გამსახურდიას თქმით, ისინი შვილების ვალს კი არ იხდიან, არამედ ესაა ქვეყნის ვალი და სირცხვილი, რომ პირველი პრეზიდენტის საქმე ამ დრომდე არ გამოძიებულა. ამასთან, იმედოვნებს, რომ ერთხელ და სამუდამოდ, ყველა კითხვას პასუხი გაეცემა.

„პირველი“

ოთხი ქართველი მეზღვაური დახმარებას ითხოვს

თურქეთის ქალაქ ისკენდერუნში გემზე მყოფ ოთხ ქართველ მეზღვაურს, რუმინელი გემთმფლობელი ხელფასს არ უხდის. მეზღვაურებს პრობლემები აქვთ საკვები პროდუქციის მომარაგების თვალსაზრისითაც. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მეზღვაურებთან დადებული კონტრაქტის ვადა მთავრდება, მაგრამ გემთმფლობელს ოთხი თვეა, მათთვის ხელფასი არ გადაუხდია. გუშინ კი ძლიერი შტორმის დროს ეკიპაჟის წევრების სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა.

როგორც ცნობილია, მეზღვაურთა საერთაშორისო პროფკავშირების სტამბოლის ოფისი ცდილობს პრობლემის შესწავლას და მეზღვაურების სამშობლოში დაბრუნებას. მეზღვაურების თანხმობის შემთხვევაში თურქი ადვოკატი მათ უფლებებს დაიცავს.

„აფხაზეთის ხმა“

ლევან ალაფიშვილი: „პროკურატურა თავისივე მცდარი გადაწყვეტილების მდევარი გახდა და ხაფანგი საკუთარი ხელით დაიგო!“

მოქალაქე სააკაშვილს ვალდებულება მხოლოდ სასამართლოს წინაშე აქვს

რუსუდან შელია
557-100-768

მას შემდეგ, რაც პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილი ერთდროულად რამდენიმე საქმეზე მოწმის სახით დაკითხვაზე დაიბარა, ექსპრეზიდენტმა თბილისში ჩამოსვლაზე უარი განაცხადა — პუტინის ოცნების ასრულებას არ ვაპირებო. მოგვიანებით კი, საკუთარი პირობა დააყენა, რომელიც თბილისის მერმა, გიგი უგულავამ გაახმაურა — ყოფილი პრეზიდენტი მზადაა, მოწმის სტატუსით ჩვენება არა პროკურორებს, არამედ სასამართლოს მისცეს, თუ რომელიმე საქმე განსახილველად სასამართლოს გადაეცემა. ჯერჯერობით, პროკურატურის პოზიცია უცნობია, თუმცა „ვერსია“ შეეცადა, გაერკვია, როგორ არეგულირებს კანონი მიხეილ სააკაშვილის გამოძიებასთან თანამშრომლობას. სამართლებრივ პროცედურებს იურისტი ლევან ალაფიშვილი განმარტავს.

— საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამბობს: მოწმის სტატუსის მქონე პირს, შესაბამისი ვალდებულებები მხოლოდ მას შემდეგ ეკისრება, რაც საგამოძიებო სამსახური ამგვარ პასუხისმგებლობაზე გააფრთხილებს. ვგულისხმობ ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევებს, სხვა მხრივ, მოწმის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია, დაკითხვაზე მხოლოდ სასამართლოდან გამოძახების შემთხვევაში გამოცხადდეს.

მიხეილ სააკაშვილი პროფესიით იურისტია, ამიტომ სამართლებრივი ნორმები კარგად იცის. მას ისევე, როგორც ნებისმიერ მოქალაქეს, კანონი შესაძლებლობას აძლევს, პროკურატურისთვის ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადოს. შესაბამისად, აბსოლუტურად კურიოზული განცხადება გაკეთდა, როცა ითქვა, რომ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, ექსპრეზიდენტზე ძებნა გამოცხადდებოდა. ამით პროკურატურის პროფესიული იმიჯი დიდი კითხვისნიშნის ქვეშ დადგა.

სამართლებრივადაც, მუქარის ტონი გაუმართლებელია — პროკურატურა უნდა დაფიქრდეს, რამდენად მიზანშეწონილია ამ ფორმით მიხეილ სააკაშვილთან ურთიერთობის გაგრძელება. უმჯობესი იქნებოდა, საგამოძიებო ორგანოებს, ყოფილი პრეზიდენტის ოჯახის წევრების საშუალებით, ადგილსამყოფელი დაედგინათ და მასთან თავად ჩასულიყვნენ. სავარაუდოდ, სააკაშვილი ადვოკატს აიყვანდა და ამ ფორმით ჩვენების მიცემის შემთხვევაში ყოველგვარი ეჭვი თუ ინტერპრეტაცია გამოირიცხებოდა.

— ძებნის გამოცხადების ნაცვლად, პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილს დისტანციური დაკითხვა შესთავაზა, თუმცა უარი მიიღო. მსგავს შემთხვევებში კანონმდებლობა რა პროცედურებს ითვალისწინებს?

— თუ მოწმე ყველა შეთავაზებაზე უარს აცხადებს, საგამოძიებო მოქმედების წარმოების მიზანშეწონილობა უნდა დადგინდეს. ვიმეორებ, როცა პროკურატურას მოწმის სასამართლოზე დაკითხვის პერსპექტივა აქვს, საგამოძიებო ტაქტიკის თვალსაზრისით, მიხეილ სააკაშვილთან კომუნიკაციაზე ამდენი ენერგიისა და დროის ხარჯვა მიზანშეუწონლად მიმაჩნია. ამ ფონზე, პროკურატურამ ექსპრეზიდენტის მისამართით არსებული კონკრეტული კითხვები უნდა გამოაქვეყნოს და ამის შემდეგ შეედავოს, რომ მასთან კითხვები სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით აქვს. ამ ეტაპზე, მით უმეტეს მაშინ, როცა პოლიტიკა საქმეში დიდი დოზითაა წარმოდგენილი, გამოძიება სამართლებრივად ჩიხში შევა. ფაქტობრივად, პროკურატურა თავისივე მცდარი გადაწყვეტილების მდევარი გახდა, ხაფანგი საკუთარი ხელით დაიგო.

— ექსპრეზიდენტის დაკითხვასთან დაკავშირებით აჟიოტაჟი ხელოვნურად შეიქმნა თუ პროკურორები კანონმდებლობაში ვერ ერკვევიან?

— პროკურატურის პროფესიონალიზმთან დაკავშირებით უამრავი კითხვა მეც მაწუხებს. ამის შემდეგ შეიქმნა პრეცედენტი, რომ გამოძიების პირველ ეტაპზე მოწმის დასაკითხად ეფექტური მექანიზმი არ არსებობს.

ამჟამინდელი საკანონმდებლო ნორმები იძლევა შესაძლებლობას, ნებისმიერმა პირმა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადოს, ამისთვის კი ვერავინ დასჯის. მერწმუნეთ, მსგავსი პრეცედენტი საგამოძიებო ორგანოებს მომავალში საკმაოდ დიდ საფრთხეს შეუქმნის. მიხეილ სააკაშვილის მაგალითზე ნებისმიერი მოქალაქე მიხვდა, რომ პროკურატურაში დაკითხვაზე გამოცხადება აუცილებელი სულაც არ არის და ვალდებულება მხოლოდ სასამართლოს წინაშე ეკისრება.

— პროკურატურის განმარტებით, ჩამოთვლილ ათივე საქმეში მიხეილ სააკაშვილის ჩვენება, შესაძლოა, გადამწყვეტიც აღმოჩნდეს, მაგრამ ექსპრეზიდენტისგან გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარის შემდეგ გამოდის, აღნიშნული საქმეების გახსნის პერსპექტივაც არ არსებობს?

— საქართველოს კანონმდებლობაში წერია: საქმეში არსებული ეჭვების გაჩენის შემდეგ, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის საფუძველზე, გამოძიება ან განსასჯელის ან ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა დასრულდეს. თუ პროკურატურა ამბობს, გამოძიებას ეჭვები აქვს და ამ პროცესში მიხეილ სააკაშვილის ჩვენება მნიშვნელოვანიაო, თანამშრომლობაზე უარის მიღების შემდეგ, ათივე საქმე ან თაროზე უნდა შემოდონ ან გამამართლებელი განაჩენი გამოიტანონ, ამიტომ ვამბობ, პროკურატურამ საქმე თავადვე გაირთულა.

— ერთ-ერთი კითხვა გირგვლიანის საქმეში ბრალდებულთა შეწყალებას ეხება. სხვათა შორის, პირველივე წერილში ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ, სააკაშვილს მერაბიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება გადააფიქრებინა, პროკურატურა ექსპრემიერის განცხადებით არ უნდა დაინტერესდეს?

— ეს კითხვა აბსოლუტურად ლოგიკურია, მაგრამ სამართლებრივად, შეწყალების მიმართულებით ექსპრეზიდენტის დაკითხვა არასწორია. ეს დისკრეციაა და, თუ პრეზიდენტმა შეწყალების გადაწყვეტილება ანგარებით არ მიიღო, ნებისმიერი კითხვა საფუძველსმოკლებულია. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, ვანო მერაბიშვილის თანამდებობაზე დატოვება მაშინდელ სისტემაში მხოლოდ პრეზიდენტის გადასაწყვეტი იყო. შესაძლოა, პრეზიდენტს ან პრემიერს ვიღაცებმა რჩევები მართლაც მისცეს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ მათ უნდა მიიღონ. მრჩევლის დაკითხვას სისხლის სამართლის საქმე არ სცნობს. მორალური პასუხისმგებლობა კი, ამ შემთხვევაში, უპირობოა. სამწუხაროდ, საქართველო გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნება, სადაც მნიშვნელოვანია მმართველობის ინსტიტუციონალური სტილის დამკვიდრება — როცა სახელმწიფოს მართავენ არა პიროვნებები, არამედ ინსტიტუტები და ერთპიროვნული გადაწყვეტილებები გამორიცხულია. არაფორმალური პრივილეგიების საფრთხე მთლიანად სახელმწიფოს ურყევს საფუძველს. სამწუხაროდ, ჩვენ ქვეყანაში „პრივილეგირებული მრჩევლები“ მუდმივად არსებობდნენ.

სიღნაღლელები ისევ დაკარგულ სამართალს ეძებენ

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

სიღნაღის რაიონის მოსახლეობა მწვავე კომუნალურ პრობლემებს უჩივის, რომელთა გადაწყვეტა ხელისუფლების ცვლილების შემდეგაც არ დაწყებულა. ადგილობრივები კვლავ ელიტურ კორუფციასა და სოციალურ უსამართლობაზე საუბრობენ. „ვერსია“ არასამთავრობო ორგანიზაცია „რეგიონული განვითარების ცენტრის“ თავმჯდომარეს, რაიონის მკვიდრ იოსებ კოჭლამაზაშვილის ესაუბრა.

– სიღნაღის რაიონში წყალთან, გაზსა და დენთან დაკავშირებული მწვავე პრობლემებია, რომელიც ყველას თანაბრად ეხება. მაღაზიაში წყლის 30-35-ლარიანი მრიცხველები, ას ლარად მოგვყიდეს. ზოგ შემთხვევაში ეს ზეწოლით გააკეთეს, ადამიანები აიძულეს, სწორედ მათი მრიცხველი დაეყენებინათ, წყლის ჩაჭრით ემუქრებოდნენ. ზამთრის ყინვაში ეს მრიცხველები ძალიან ბევრს გაუფუჭდა, რაზეც პასუხისმგებლები კომპანიის წარმომადგენლები არიან, მაგრამ არ მოდიან. ეს პრობლემები ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს გაჩნდა, მერე წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატი მოვიდა სოფელ ზემო ბოდბეში და განაცხადა – ხალხო, გამოიტანეთ ეგ წყლის მრიცხველები და გადაყარეთ, აღარ დაგჭირდებათო, მაგრამ მათი გამარჯვების შემდეგ არაფერი შეცვლილა, პირიქით, მოთხოვნა გამკაცრდა და ხალხი ჩვეულებრივად იხდის გაბერილ გადასახადს. ხელშეკრულებაში კიდევ ერთი საინტერესო მომენტია, ყველა პუნქტი აბონენტის მოვალეობას ეხება და კომპანია მხოლოდ ვალდებულია, მრიცხველი დააყენოს.

შარშან, შემოდგომაზე, ხალხმა სახლებში გაზის გაყვანა დაიწყო. მოსახლეობის პირველ პარტიას ეს 600-დან 700 ლარამდე დაუჯდა. უკმაყოფილების გამოთქმის შემდეგ, რამდენიმე კვირაა, ეს თანხა 400 ლარამდე შემცირდა. ორი-სამი წლის წინ, მეზობელ სოფლებში გაზის გაყვანის საფასური 250-300 ლარი იყო. საუბარია ქუჩიდან სახლამდე მარტო სადენის მიყვანაზე, რაშიც მრიცხველის დაყენებაც შედის. უკმაყოფილებაზე ხალხს უპასუხეს — ადრინდელი კომპანია ნაკლებ ფასად აკეთებდა და ახლა „სოკარი“ ძვირად აყენებსო. არადა, მილი და მრიცხველი დღესაც იგივე ფასშია და საიდან მოვიდა ასეთი გაძვირებული ღირებულება, ყოვლად გაუგებარია. ყველაზე საინტერესო კი ელექტროენერგიასთან დაკავშირებული პრობლემაა – ჩვენთან კახეთის ენერგოდისტრიბუციაა, რომელიც თავის დროზე, რაიონის გამგეობებს დაქვემდებარებული სააქციო საზოგადოებების სახით შეიქმნა. მერე ნელ-ნელა მისი კერძო ხელში გადაქაჩვა დაიწყო და საბოლოოდ, კახეთის ენერგოდისტრიბუცია ჩამოყალიბდა. კახეთის ენერგოდისტრიბუცია 2008 წლიდან ლიტვურ კომპანიას მიყიდეს, რომელსაც ყველგან გამრიცხველიანება უნდა მოეხდინა, მარგამ ეს არ გაუკეთებიათ და 2011 წლიდან გაკოტრების რეჟიმში გადავიდნენ. 2008 წლიდან ზედმეტს გვახდევინებდნენ, ვითომ მანამდე არსებული საერთო მრიცხველის ჩვენებიდან. თავიდან ეს შედარებით მცირე თანხა იყო და ასატანიც, მაგრამ 2011 წლიდან გადასახადები გაზარდეს. მყავს მეზობელი, რომელიც სახლში 7 წელია არ ყოფილა, ორ წელიწადში 610 ლარი დავალიანება დააწერეს, ამ დროს ერთი კილოვატი არ აქვს გახარჯული. სანამ ამ ფულს არ გადაიხდის, დენს არ ჩაურთავენ. იგივე მდგომარეობაში იყვნენ სხვებიც, თვეობით 50-60 ლარის ნაშთი მოდიოდა, დამატებითი გადასახადის სახით. თავის დროზე, ლიტვურმა კომპანიამ მთელი კახეთის ენერგოდისტრიბუცია 6,12 მილიონ დოლარად იყიდა და, როგორც ვიცით, 2011 წელს მარტო სიღნაღის რაიონში 4,5 მილიონი ზედმეტად დარიცხული თანხები, ანუ მოგება ამოიღო. ყველაზე გასაკვირი ისაა, რომ ეს კომპანია სწორედ 2011 წლიდან გაკოტრების რეჟიმში მუშაობს. დღესაც იგივე მრიცხველებით, იგივე გადასახადებს ვიხდით, შეგვეცვალა ის, რომ ნაშთი აღარ გვინაწილდება.

მთავარი პრობლემა ისაა, ხალხს ეგონა, ოქტომბრის არჩევნების, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რაღაც შეიცვლებოდა, რეალურად კი, ეს სადავო საკითხები არც გადაიხედა. ხალხს წასასვლელი აღარ დარჩა, რომ ვინმეს თანადგომის იმედი ჰქონდეს. 2011 წელში სასამართლო ამაზე განცხადების მიღებაზეც უარს გვეუბნებოდა, თელავში გვაგზავნიდნენ. ახლა სასამართლო უარზე არ არის, მაგრამ ხალხს ხელი აქვს ჩაქნეული. ის ჩემი მეზობელიც არ წავა სასამართლოში, რადგან მოგების იმედი არავის აქვს.

– რატომ არის ასეთი კაპიტულანტური განცდა?

– ადამიანებში სამართლიანობის, კანონიერების მიღწევის განცდა დაკარგულია. ყველა გრძნობს, რომ ამ კომპანიას დიდი მფარველი ჰყავს – ასე იყო წინა ხელისუფლების დროსაც და ასეა ახლაც. ადრე ბევრი დავობდა და დროთა განმავლობაში აღარავინ იბრძვის, ასეთ კაბალურ მდგომარეობას შეგუებულია. გამოსავალს რომ ვერ ხედავენ, ნელ-ნელა კომპანიასთან ხელშეკრულების დადება დაიწყეს ვალის გადანაწილებაზე.

– რას აკეთებს ამ დროს ადგილობრივი ხელისუფლება?

– საერთოდ არ ერევა პრობლემის დარეგულირებაში, ამიტომ პოლიტიკურ პარტიებს უნდა მივმართოთ, შექმნილი მდგომარეობით დაინტერესდნენ. ცენტრალური ხელისუფლება, წესით, საქმის კურსში უნდა იყოს, რადგან, როცა ენერგოდისტრიბუტორი ბაზარზე შემოუშვეს, პირობებიც დაუდეს, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ არ ვიცით. როგორ შეიძლება, ამდენი წელი მოსახლეობას ამხელა თანხებს აწერდნენ და ხელისუფლებამ ამის შესახებ არაფერ იცოდეს? აქ პარტიულობაზე საუბარი არ არის, პრობლემა ნაციონალსაც შეეხო, ოცნების წევრსაც და ყველა დანარჩენსაც. ელიტური კორუფციის ფაქტი აქ ზედაპირზე დევს. ორგანიზაციას, რომელმაც 6 მილიონად იყიდა ენერგოდისტრიბუცია, 12 მილიონი უნდა ჩაედო გამრიცხველიანებისთვის, მაგრამ არაფერი გაუკეთებია, გაკოტრების რეჟიმში მუშაობს, ერთ წელიწადში მხოლოდ სიღნაღის რაიონიდან 4 მილიონი ზედმეტი თანხა ამოიღო. 8 რაიონია კახეთში და გაცილებით დიდი, ვიდრე სიღნაღი. ვითხოვთ, დაინტერესდნენ ამ პრობლემებით პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოება, ჩვენ ადგილზე მწირი რესურსები გვაქვს, საქმეს რომ სათანადოდ მივხედოთ. პოლიტიკური ძალების მხარდაჭერით, მოსახლეობას ეს ე.წ ვალი უნდა ჩამოეწეროს, თუ იტყვიან, რომ სამართლიანია, მაშინ მივიდეთ და სასამართლოში ვიბრძოლოთ საკუთარი უფლებებისთვის. ჩვენი ორგანიზაცია, რეგიონული განვითარების ცენტრი მზადაა მჭიდრო თანამშრომლობისთვის. პარტიებს სოფლებში მეტი რესურსი აქვთ, რომ საერთო ინტერესებისთვის ადამიანების კონსოლიდაცია მოხდეს.

ვეტერანთა ჰოსპიტლისთვის ალტერნატიული ფართის დაუყოვნებლივ გამოყოფას ითხოვენ

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ ინფორმაციით, ვეტერანთა ჰოსპიტალს სასწრაფოდ რეაბილიტაცია ესაჭიროება. ორგანიზაციის წევრები ჰოსპიტლის ხელმძღვანელს გია მაცაბერიძეს, მომსახურე პერსონალსა და ომის ვეტერანებს შეხვდნენ და დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობას ადგილზე გაეცნენ.

ხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნაა, რომ ეს შენობა არანაირ რეაბილიტაციას არ ექვემდებარება და ვეტერანები შენობიდან სასწრაფოდ გასაყვანია. ვფიქრობდით, სახელმწიფო გულისხმიერებას გამოიჩენდა, რომელიმე შენობას გაარემონტებდა და ვეტერანთა ჰოსპიტალს გადაეცემოდა, მაგრამ ეს დღემდე არ გაკეთებულა. ჰოსპიტალს წელიწადში მხოლოდ 800 ათასი ლარის დაფინანსება აქვს და ამაში შედის როგორც კომუნალური გადასახადები, ასევე უმცირესი, სამარცხვინო ჯამაგირი ექიმებისა თუ მომსახურე პერსონალისთვის“.

ჯანდაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო** აცხადებს, რომ სამინისტრო განაგრძობს მუშაობას ვეტერანებისთვის ჰოსპიტლის ალტერნატიული ინფრასტრუქტურის შესათავაზებლად: **„ვეტერანებსა და ჯანდაცვის სისტემას რაც შეეხება, სპეციფიკური და სენსიტიური თემაა, გარდა ჩვეულებრივი ჯანდაცვითი საკითხებისა და პრობლემებისა, ვეტერანებს სჭირდებათ განსაკუთრებული სერვისები, როგორიცაა ხანგრძლივი თერაპიული და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია“.** მისივე თქმით, სახელმწიფომ ვეტერანთა სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების მხრივ, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. როგორც სერგეენკომ აღნიშნა, საყოველთაო ჯანდაცვაში ჩართული ვეტერანების მომსახურების პაკეტი მნიშვნელოვნად დიდია, ვიდრე ყველა დანარჩენი მოქალაქისა: **„მეორე საკითხი იყო ინფრასტრუქტურა. დიდუბეში, იამანიძის ქუჩაზე არსებული ძველი შენობა სრულიად ამორტიზებულია და მასში არათუ რაიმე სამედიცინო აქტივობის განხორციელება, არამედ ყოფნაც კი სახიფათოა. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას ალტერნატიული ინფრასტრუქტურის შეთავაზებაზე. ესაა შენობა, საიდანაც თავის დროზე გამოდევნეს ეს ადამიანები — ისნის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ჰოსპიტლის ყოფილი შენობა, სადაც ახლა სოციალურად დაუცველები არიან შეჭრილები. შევეცდებით, მათთან საერთო ენა გამოვნახოთ“.** მისივე თქმით, სამინისტრო მაქსიმალურად შეეცდება, არანაირი შეფერხება არ შეექმნას ვეტერანების სამედიცინო მომსახურებას მანამ, სანამ არ მოგვარდება ალტერნატიული ინფრასტრუქტურის საკითხი. როგორც სერგეენკომ აღნიშნა, ამ ადამიანებს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში გადაანაწილებენ.

ხალხი, რომელმაც არ იცის კოცნა

როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, კოცნა რეფლექსი არ არის და ის უნდა ისწავლო... მსოფლიოში არის ისეთი ქვეყნები, სადაც ადამიანებმა არ იციან ამბორი და ერთ-ერთი ასეთი ბანგლადეშია. აქ ჩიტაგონგის მაღლობზე მცხოვრებ ტომებში არც კი არსებობს გამოთქმა, „მაკოცე“, როგორც ცნობილი მოგზაურის, კუკის ჩანაწერებიდან გახდა ცნობილი, ახალი ზელანდიის აბორიგენები შეხვედრისას ერთმანეთს პლედს აფარებდნენ და ცხვირს უხახუნებდნენ, ამ დროს ღრუტუნის მსგავს ხმებს გამოსცემდნენ, მას შემდეგ კუნძულ სანტა-მარიაზე არაფერი შეცვლილა. ფილიპინებზე პაპუასებს, ტასმანიისა და კუნძულ ფუგას მცხოვრებლებს მისალმებისას, ცხვირთან ახლოს ან თავსზემოთ ყოველთვის უჭირავთ სურნელოვანი ნივთი, ინდოეთის ოკეანეში მდებარე კუნძულ სოკოტრას მცხოვრებნი კი ერთმანეთს მხარზე ამბორით ესალმებიან. ტონგას კუნძულებზე ადგილობრივები შეხვედრისას მეგობრის ხელს საკუთარ ცხვირსა და პირზე ისმევენ; სამეფო კუნძულებზე კი მისალმებისას ორი ადამიანი ერთმანეთს ცხვირს ადებს.

ბირმელებში მისალმებას nomtschi ჰქვია, რაც „სურნელის შესუნთქვას“ ნიშნავს. ჩინელები მეგობრულად ესალმებიან, როცა ერთმანეთს ცხვირებით ეხებიან, თანამედროვე იაპონიაში კი ცუდ ტონად მიიჩნევა სახალხოდ კოცნა. სწორედ ამ მიზეზის გამო, თითქმის ვერასოდეს ნახავთ ამბორს ამომავალი მზის ქვეყანაში გადაღებულ ფილმებში.

ყველაზე აბსურდული გადასახადები

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ბენჯამინ ფრანკლინმა თქვა: ცხოვრებაში ორი რამაა გარდაუვალი — სიკვდილი და გადასახადები. გადასახადების აკრეფის აუცილებლობა მაშინ დადგა, როცა პირველი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა, მათგან ზოგი კი საკმაოდ უცნაური იყო: მაგალითად, იმპერატორმა ვესპასიანემ შემოიღო საფასურის გადახდა ტუალეტისთვის, ბიზანტიაში არსებობდა ჰაერის გადასახადი, რომელიც მდიდრული სახლის პატრონს უნდა გადაეხადა, ბაშკირეთში კი XVII საუკუნეში გადასახადი თვალის ფერზე შემოიღეს... და დღეს ჯერ კიდევ არსებობს მთელი რიგი უცნაური და აბსურდული გადასახადები:

ჩრდილის გადასახადი — ვენეციაში 1993 წელს მიღებული კანონით დაწესდა გადასახადი, რომლის გადახდა უწევს ყველა შენობის, ტენტისა და ქოლგის მეპატრონეს, რომელთა საკუთრების ჩრდილიც ეცემა მიწას;

მზის გადასახადი — ბალეარის კუნძულებზე — იბიცაზე, მალიორკაზე, მენორკაზე... ტურისტები ვალდებულნი არიან, გადაიხადონ ერთი ევრო იქ გატარებული ყოველი დღისთვის, თანხა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ხმარდება;

მტვრის გადასახადი — ცოტა ხნის წინ სომხეთში ამოქმედდა კანონი, რომ ყველა, ვისაც საცხოვრებელი ფართი აქვს, ვალდებულია, გადაიხადოს 2 დრამი იმის მიუხედავად, დევს მტვერი სახლში თუ არა;

თაბაშირის გადასახადი — ავსტრია ცნობილია სამთო-სათხილამურო კურორტებით, სადაც ყოველწლიურად უამრავი ტურისტი ჩადის. გამომდინარე იქიდან, რომ ბევრი მათგანი ტრავმას იღებს სრიალის დროს, მთავრობას დიდი ხარჯის გაღება უწევს სამედიცინო დაზღვევის დასაფარად, ამიტომ შემოიღეს სპეციალური გადასახადი თაბაშირზე, რომელიც შევა საგზურის საერთო საფასურში;

მშვიდობის გადასახადი — დასავლეთ აფრიკის ქვეყნები ერთ-ერთი ყველაზე ღარიბია, მაგრამ ამის მიუხედავად, ადგილობრივებს მაინც ახდევინებენ გადასახადებს. მაგალითად, გვინეის რესპუბლიკის მცხოვრებნი, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობა სიღარიბის ზღვარსმიღმაა, დღემდე იხდიან მშვიდობის გადასახადს, თუმცა იქ არანაირი საომარი მოქმედება არ მიმდინარეობს. ყოველწლიურად გვინეელები ვალდებულნი არიან, ბიუჯეტში დაახლოებით 17 ევრო შეიტანონ, ეს კი საკმაოდ დიდი თანხაა აქაურებისთვის.

საუკეთესო სართული საცხოვრებლად

სპეციალისტების აზრით, ადამიანის კომფორტული ცხოვრება მოითხოვს მაგნიტური ველის სასურველ ფიქსირებულ დონეს. მაღალ სართულებზე ცხოვრება საშიშია ჯანმრთელობისთვის, რადგან გარკვეულ სიმაღლეზე მაგნიტური ველი მცირდება, რასაც შეუძლია, ადამიანის იმუნური სისტემა შეასუსტოს, გამოიწვიოს ნერვული აშლილობა და გულსისხლძარღვთა დაავადებები. ამერიკელი მეცნიერების დასკვნით, საცხოვრებლად ყველაზე შესაფერისი ვარიანტია მეშვიდემერვე სართული. გარდა ამისა, ექსპერტებმა შეისწავლეს, რა გავლენას ახდენს მაგნიტურ ველზე საშენი მასალა: თუ სახლის კედლები ბეტონითაა აშენებული, მაგნიტური ველის ეფექტი 10%-ით მცირდება, აგური ველს 7%-ით ასუსტებს, ხოლო ხე მხოლოდ 1%-ით. ასე რომ, ყველაზე სასურველი და სასარგებლო ხისგან აგებული სახლები ყოფილა.

სპრეი დეპრესიის წინააღმდეგ

სპრეი ცხვირისთვის, რომელიც სპეციალურად შემუშავებულ ცილის პეპტიდს შეიცავს, შესაძლოა, საფუძველი გახდეს დეპრესიის სამკურნალოდ. პეპტიდმა, რომელიც პატარა ბოთლიდან იფრქვევა, მინიმუმამდე დაიყვანა დეპრესიის სიმპტომები და, პრაქტიკულად, არ ჰქონია გვერდითი მოვლენები. ეს პეპტიდი რამდენიმე წლის წინ კემპბელის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის დოქტორმა ფან ლიუმ შეიმუშავა. ცხოველებზე გამოცდისას ეფექტი აშკარა იყო, მაგრამ შინაგანი მიღებისას პეპტიდმა ვერ გადალახა ჰემატოენცეფალური ბარიერი იმ კონცენტრაციით, რაც აუცილებელია თერაპიული ეფექტის მისაღებად. მაშინ სწავლულებმა გადაწყვიტეს, თავის ტვინისთვის ის სხვა გზით მოეწოდებინათ და არჩევანი ნაზალურ სპრეიზე შეაჩერეს. სწავლულებმა ადრე დაადგინეს, რომ ორ დოპამინურ რეცეპტორს შორის კავშირი გაცილებით მაღალი ჰქონდათ დეპრესიით დაავადებულ ადამიანებს, პეპტიდი კი ამ კავშირს უშლის ხელს და ამგვარად, ანტიდეპერსანტის როლსაც ასრულებს.

ტელეკომპანია „თრიალეთი“

032 239 38 23
599 25 13 31

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

სუდოკუ

ადვილი

6								7
			8	5	7			3
		7	6					
	9			2	8	1		
	1	8		9		2	7	
		6	1	7			9	
					2	7		
2			5	6	1			
3								2

სტანდარტი

9						5		1
						8	7	
	2		8		5	4	6	9
				8			2	
		2		6		1		
	1			3				
7	9	3	6		1		8	
	6	8						
1		4						3

რთული

		3	7					9
2	1							7
				1		6		
8				2		4		
	5	4		7		3	2	
		1		4				5
		7		3				
1							4	3
4					6	1		

ექსპერტი

	6		3			9		
		3	4	7				
7		1						3
	4	5	1	8		7	3	
	8	7		3	2	4	1	
4						3		8
				6	5	1		
		6			3		5	

დედამ შვილი აუტიზმისგან განკურნა

სან-ფრანცისკოში მცხოვრებმა ბიოქიმიკოსმა კეტრინ რიდმა აღმოაჩინა საშუალება, რომელსაც ზოგიერთ შემთხვევაში, მინიმუმამდე დაჰყავს აუტიზმის სიმპტომები ბავშვებში. ეს დიეტაა, რომელიც ნატრიუმის გლუტამატს გამორიცხავს. კეტრინის დასკვნები დაფუძნებულია ნეირობიოლოგიური კვლევების ანალიზსა და საკუთარ გამოცდილებაზე: ორი წლის ასაკში მის ქალიშვილის აუტიზმის დიაგნოზი დაუსვეს, ახლა გოგონა შვიდი წლისაა, მაგრამ დაავადება, მეცნიერთა თქმით, სრულიად გაქრა. რადგან აშშ-ში აუტიზმის სამკურნალოდ დღეს მხოლოდ ერთი მედიკამენტია მოწონებული (რისპერიდონი და მისი ანალოგები), ბევრი მშობელი ალტერნატიულ მედიცინას მიმართავს, იყენებს ჰომეოპათიურ პრეპარატებს, პრებიოტიკებს, სხვადასხვა დიეტას გლუტენის, ლაქტოზისა და კაზეინის გარეშე იმედით, რომ ეს დადებით გავლენას იქონიებს ბავშვის მდგომარეობაზე. დოქტორ რიდის მიერ შემუშავებული დიეტა კი მათგან განსხვავებულია. მისი აზრით, აუტიზმით დაავადებული ბავშვის კვებიდან აუცილებლად უნდა გამოირიცხოს ერთადერთი ქიმიური ნაერთი ნატრიუმის გლუტამატე (E 621, E 631 — ჰიდროლიზებული მცენარეული ცილა). კეტრინი ამბობს, რომ ორგანიზმში არსებობს გლუტამატის რეცეპტორები, რომელიც ნერვულ უჯრედებს ააქტიურებს. ის აუცილებელია, მაგრამ გარკვეული რაოდენობით. აუტიზმი და შესაძლოა, სხვა ნერვული დაავადებებიც, რიდის აზრით, სწორედ გლუტამატის მოხმარების დისბალანსს უკავშირდება. დამუშავებული კვების პროდუქტის 95% კი შეიცავს მას. ამ მომენტისთვის არ არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული მტკიცებულება კეტრინის თეორიისა, თუმცა, ბიოქიმიკოსი მაგალითად საკუთარი ქალიშვილის ნორმალურ მდგომარეობას ასახელებს. მას შემდეგ, რაც გოგონა თითქმის განკურნა, კეტრინმა არაკომერციული ორგანიზაცია დააფუძნა, რომელიც თავის ტვინზე კვების პროდუქტის ზემოქმედებას სწავლობს. დოქტორ რიდის თქმით, 75 ბავშვიდან, რომელთაც ამ ორგანიზაციის ფარგლებში ეხმარებოდა, 74-ს მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდა.

კენკრიანი ხილი ყველაზე სასარგებლოა

ცნობილმა გამოცემა „ფორბსმა“ მკითხველს ყველაზე სასარგებლო პროდუქტის სია წარუდგინა. სიის შედგენისას ექსპერტები აფასებდნენ პროდუქტის სასარგებლო თვისებებს ვიტამინებისა და მინერალების რაოდენობით, რომელთაც ისეთი საშიში დაავადებების თავიდან აცილება შეუძლიათ, როგორიც სიმსივნე, ინფარქტი და ინსულტია. მენიუში ასეთი პროდუქტის რეგულარული არსებობა ხანგრძლივი და ჯანსაღი ცხოვრების საწინდარია, ყველაზე სასარგებლო პროდუქტის სია კი 12 პოზიციისგან შედგება:

სპეციალისტებმა პირველი ადგილი კენკრას — ჟოლოს, მოცვსა და მარწყვს მიანიჭეს. ანტიოქსიდანტებისა და უჯრედისის მაღალი დონის, ასევე ელაგენური მჟავის წყალობით, რომელიც სიმსივნური უჯრედების ზრდასა და ცხიმის დაგროვებას უშლის ხელს. ეს კენკროვნები შეგვიძლია ადამიანისთვის ყველაზე სასარგებლო საკვებად მივიჩნიოთ;

ონკოლოგიური დაავადებების, შაქრიანი დიაბეტისა და ჭარბი წონის ეფექტური პროფილაქტიკისთვის საუკეთესოა კაკალი და პარკოსნები. ჯანსაღი რაციონის უმნიშვნელოვანესი ელემენტია ცხიმიანი თევზი, რომელიც არეგულირებს წნევას, უზრუნველყოფს ტვინის აქტიურობას.

ცხოველური საკვებიდან საუკეთესოა კვერცხი, განსაკუთრებით, მოხარშული, ჩინური კომბოსტო და ბროკოლი სწრაფად უმკლავდება ტოქსინებს და ეფექტურად იცავს ორგანიზმს კიბოსგან. ხახვი და ნიორი აძლიერებს იმუნიტეტს და სასიკეთოდ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

მორფინზე ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი შექმნეს

მეცნიერები ახალი ტკივილგამაყუჩებლის შექმნაზე მუშაობენ, რომელიც, წინასწარი მონაცემებით, ტკივილს მორფინზე უკეთ მოხსნის, ახალი პრეპარატის საფუძველი კი ლოკოკინების შხამია. ნივთიერება, რომელიც კონუსური ლოკოკინის შხამში არსებულ უმცირეს ცილაზე შექმნეს, შესაძლოა, მართლაც მორფინზე ძლიერი აღმოჩნდეს. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს ახალი პრეპარატის შექმნის საფუძველიც გახდება და მძიმე, ქრონიკულ ნევრალგიას თავიდან აგვარშორებს. კონუსური ლოკოკინები, ძირითადად თბილ, ტროპიკულ ზღვებში ბინადრობენ და საკუთარ შხამს იყენებენ მსხვერპლის პარალიზებისთვის. ეს სითხე ასობით პატარა ცილას — კონოტოქსინს შეიცავს და ადამიანებისთვის ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი აქვს. წინასწარი მონაცემებით, წამლის პროტოტიპი უკვე გამოსცადეს ლაბორატორიულ ვირთხებზე და შედეგი დადებითი აღმოჩნდა, სამომავლოდ, თუ კლინიკური ცდებიც წარმატებული იქნება, ბაზარზე ყველაზე ძლიერი გამაყუჩებელი პრეპარატი გამოჩნდება.

ღამით მუშაობა ცვინს ვნებს

ბევრი ადამიანი, რომელიც იძულებულია, ღამის ცვლაში იმუშაოს, მიიჩნევს, რომ თავს ართმევს ასეთი რეჟიმით გამოწვეულ ნეგატიურ ზემოქმედებას, რადგან დასვენების დღეებში ახერხებს გამოძინებას, მაგრამ სინამდვილეში, ეს ბევრი არაფერს შველის — ძილის ქრონიკული უკმარისობა ტვინის უჯრედებს კლავს, რომელიც აღარ აღდგება. პენსილვანიის სამედიცინო სკოლის სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ უძილობა უკავშირდება იმ ნეირონების დაზიანებასა და დაკარგვას, რაც აუცილებელია ინტელექტუალური მუშაობისა და გონების კონცენტრაციისთვის. მკვლევარებმა ცდები მღრღნელებზე ჩაატარეს, რომელთაც პერიოდულად ნორმალურად ასვენებდნენ, მოკლე პერიოდის განმავლობაში ფხიზლად ჰყავდათ და დიდი ხნის განმავლობაში არ აძინებდნენ. აღმოჩნდა, რომ ხანმოკლე უძილობისას ნეირონები აძლიერებდნენ ცილის გამომუშავებას, რომელიც ენერგიის მიღებისთვისაა მნიშვნელოვანი. ეს ცილა იცავდა ასევე ნეირონებს დაზიანებისგან. ხანგრძლივი სიფხიზლის შემდგომ კი ცილა ნორმალურად აღარ მუშაობდა, შედეგად უჯრედების სიკვდილის მომატებული მაჩვენებელი ფიქსირდებოდა. სწავლულები ფიქრობენ, რომ შესაძლოა, ნეირონებში ცილის კონცენტრაციის ხელოვნურად გაზრდამ უძილობისას ტვინის უჯრედები განადგურებისგან დაიცვას.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

3	2	1	9	8	5	7	6	4
9	8	6	2	7	4	5	3	1
5	4	7	1	6	3	9	2	8
2	3	8	7	1	6	4	9	5
1	9	5	4	3	2	8	7	6
7	6	4	5	9	8	3	1	2
6	7	2	8	5	9	1	4	3
8	1	3	6	4	7	2	5	9
4	5	9	3	2	1	6	8	7

სტანდარტი

7	5	4	1	2	9	6	8	3
6	3	2	4	5	8	9	1	7
9	1	8	7	3	6	4	2	5
2	7	1	8	4	3	5	9	6
5	9	6	2	1	7	3	4	8
4	8	3	9	6	5	2	7	1
8	6	9	5	7	4	1	3	2
3	2	7	6	9	1	8	5	4
1	4	5	3	8	2	7	6	9

რთული

5	6	4	3	2	1	8	9	7
1	3	9	6	8	7	5	4	2
8	2	7	5	9	4	1	3	6
9	1	8	4	5	6	7	2	3
7	4	3	2	1	9	6	8	5
2	5	6	8	7	3	9	1	4
3	9	5	7	4	8	2	6	1
6	8	2	1	3	5	4	7	9
4	7	1	9	6	2	3	5	8

ექსპერტი

1	9	4	7	3	8	2	6	5
7	3	2	6	4	5	1	9	8
8	6	5	2	1	9	4	7	3
3	7	1	9	8	6	5	4	2
2	5	9	3	7	4	8	1	6
6	4	8	1	5	2	7	3	9
9	8	7	4	2	3	6	5	1
5	1	6	8	9	7	3	2	4
4	2	3	5	6	1	9	8	7

მე-10 გვერდი: 1. ჰოპლიტი; 2. ჰონოლულუ; 3. პაგანინი; 4. ითაკა; 5. ისარი; 6. ხვიჩია; 7. კარამელი; 8. რელიეფი; 9. მაგნიტი; 10. ლანსელოტი; 11. ანაგრამა; 12. ალა; 13. გეტრი; 14. რაცია; 15. ხულიგანი; 16. ნივოზი; 17. კულისიე; 18. პეკინესი; 19. ლანგარი; 20. ულიე; 21. ადმეტე; 22. ისტერია; 23. ფიტული; 24. მერცხალი; 25. ნონეტი; 26. კემეროვო; 27. ოლივინი; 28. პლანტაცია; 29. ტიტრი; 30. სიდრი; 31. მენელაე; 32. ნეკი; 33. უფა; 34. ბრინზა; 35. არა; 36. რომი; 37. ლიბანი; 38. ეტი; 39. ონო; 40. ობჩა; 41. შტამი; 42. ბენცი; 43. კაზუსი; 44. იფი; 45. როტა; 46. როტორი; 47. მარეხი; 48. ჰასი; 49. კატონი; 50. მინა; 51. ოე; 52. „აეკი“; 53. კეიტ; 54. ნატანები; 55. ვილა; 56. ჩაო; 57. კიი; 58. რა; 59. ემი; 60. ლივინგსტონი; 61. ალიმენტი.

ოთარ ქირიას ოჯახი მწუხარებას გამოთქვამს თამაზ მჭედლიძის დედის

ვენერა მჭედლიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

გაზეთ „ვერსიის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოხატავს ცნობილი კრიტიკოსისა და პუბლიცისტის, საქართველოს პარლამენტის წევრის

ნოდარ გრიგალაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

1. მდინარე ყაზბეგის, დუშეთის და მცხეთის რაიონებში
2. საზეიმო წვეულება, დარბაზობა
3.გამრთობი ქალი იაპონიის სამაიებში
4. იგივეა, რაც ჟარგონი
5. მლიქვნელი, პირფერი
6. ფრანგი მსახიობი ფილიპ ...
7. „თანხმობის ნიშანი“
8.მტრედის მსგავსი ფრინველი
9.ინდოეთში მცხოვრები რუსი მხატვარი
10. მერვე მუსიკალური ინტერვალი
11. კოსტიუმირებული გასართობი მეჯლისი
12. მხარე, მიდამო
13. ქართული ხალხური ზღაპარი
14. მომაკვდავის დანაბარები
15.უძველესი ქართული მრავალსიმიანი საკრავი
16. გამოუწვავი აგური
17. თარსი რიცხვი
18.აქლემის მსგავსი ცხოველი კუზის გარეშე
19. პიტალო კლდე
20.ძვირფასმერქნიანი ხე, კოპიტი
21. საქორწილო მარშის ავტორი
22. წამლის ბურთულა
23.ქვეყანა სკანდინავიის ნახევარკუნძულზე
24.ოსკარი-2014-ის მფლობელი
25. დიდი ინგლისელი ფიზიკოსი
26. ძროხის „ნობათი“
27. უთვისტომო ბიჭი
28. პოეტი ... ხაიამი
29. ხმელთაშუა ზღვის ყურე
30.გ. შენგელაიას ფილ. „სიყვარული ...“
31. აზროვნების ორგანო
32.კამბოჯის ფულის ერთეული
33. თესვის წინმსწრები პროცესი
34.ფსიქიური აშლილობის ფორმა
35. ეთიოპიისგან გამოყოფილი ქვეყანა
36. დაწესებულება სროლაში საკვარეიშოდ
37. ლეგენდარული ბრაზილიელი გოლკიპერი
38.მოსაცდელი დარბაზი
39.სპორტული ორთაბრძოლა
40. ბგერის გრაფიკული ნიშანი
41. ბიბლიური პერსონაჟი
42.ტოკიოს ძველი სახელწოდება
43. ზოდიაქოს ნიშანი
44.თამაში რგოლებით და ჯოხებით
45. მუსიკალური გამის V ნოტი
46. პოეტური გამოცანა
47. რომან „დრაკულას“ ავტორი ... სტოკერი
48. ვირტუოზი მევიოლინე ეანესა ...
49. ირლანდიის თვითსახელწოდება
50.ფაკულტ. ხელმძღვანელი
51.ლუდის ბარი ინგლისში
52.ფრედი მერკურის ჯგუფი
53. ჰიტლერის მშობლიური ქალაქი
54. მდინარე რუსეთში
55. სილამაზე, მოხდენილობა
56.ღვინის ობი
57. სასვენი ნიშანი
58. საავადმყოფო ძველ საქართველოში
59. რეჟისორ ჰიჩკოკის სახელი
60. სინათლის სიკაშკაშის ერთეული
61. გერმანული ავტომარკა
62.ლითონის რკალი რისამე გასამაგრებლად
63. დიდი თევზსაჭერი ბადე
64. თბილისის ყველაზე ტიტულოვანი საფეხბურთო კლუბი
65.კუნძულოვანი ქვეყანა წყნარ ოკეანეში
66. პარკოსანთა ოჯახის ხე
67.თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
68. იგივეა, რაც ადვოკატი
69. იაპონური თეატრის სახეობა
70. მიმართვა გერმანელი ქალბატონისადმი
71. მასაჩყალის საფეხბურთო კლუბი
72. ბანქოს ერთგვარი თამაში
73. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
74. ხის სათლელი იარაღი, პირბრტყელი და თოხივით მოხრილი
75. ლენინის მამის სახელი
76.პირველი სიდიდის ვარსკვლავი, ცისფერი გიგანტი
77.ვერდის ოპერა „...-მასკარადი“
78. ამერიკელი მომღერალი ... ჯონსი
79.ფეხბურთის მეფე
80.ქვეყანა აზიაში
81.სარწყავად გაყვანილი პატარა არხი
82. სოფი მარსოს ნამდვილი გვარი
83. ტბა თბილისის შემოგარენში
84. ადამიანის სხეული თავის და ხელ-ფეხის გარდა
85. ზღვის პატარა ყურე
86. იგივეა, რაც მამითადი
87. ფუჭი, უმედეგო
88. ქალაქი კუნძულ სარდინიაზე
89. მფრთხალი, შეუჩვეველი საქონელი
90. წიწვოვან მცენარეთა ყვავილედი
91. მსახიობი ჯუდ ...

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.